საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი-სამშაბათი, 7-8 ივნისი. 2021 წ. №123-124 (9242-9243) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ბრძოლის ველიდან გაქცეულები!

ჩაშლილი აყირავება!.. ვინ გაუჩერქვავს თავს გველეშაპს?!

3

5

მეუფე შიო: ყოველი ქრისტიანი მზად უნდა იყოს დახმარებისთვის...

სამების საკათედრო ტაძარში პატრიარქის მოსაყდრემ, მეუფე შიომ საკვირაო წირვა აღავლინა და მრევლს ქადაგებით მიმართა. მეუფემ სიკეთის კეთების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა რომ, ყოველი ქრისტიანი მზად უნდა იყოს სხვების დასახმარებლად.

„ჩვენ სწავლება მწუხარების დათმენის შესახებ, გვავალდებულებს გაჭირვებულის დახმარებას. ყოველი ქრისტიანი ასე უნდა ცხოვრობდეს, მზად უნდა იყოს დახმარებისთვის, ვინაიდან მოდის ღამე, როდესაც ველარავინ შეძლებს ამ საქმეების კეთებას. მაშასადამე, ჩვენც დავფიქრდეთ და ვაკეთოთ საღმრთო საქმეები, ვიდრე დღეა“, — განაცხადა პატრიარქის მოსაყდრემ.

ქვეყანაში ინფლაციამ 10-წლიანი რეკორდი მოხსნა!

6

ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი?

გამოხატვის თავისუფლება ქართულ-ჯიგრულად...

6

ნანა კაკაბაძე, გელა ნიკოლაიშვილი, ტარიელ ღვინიაშვილი:

რამდენჯერ უნდა დავრწმუნდეთ, რომ სწორედ კეთილშობილური იდეებითაა მოკირწყლული ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა!

აბასთუმანში დაკარგული შვიდივე ახალგაზრდა იპოვეს!

მეხანძრე-მაშველებმა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეინჯერებმა აბასთუმანში დაკარგული ახალგაზრდები იპოვეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა ინფორმაცია დაბა აბასთუმანში გაუჩინარებული ტურისტული ჯგუფის შესახებ. ინფორმატორის გადმოცემით, 7 ახალგაზრდა მოქალაქისგან შემდგარი ჯგუფი აბასთუმნის ტყე-პარკში რამდენიმე დღის წინ წავიდა, თუმცა მათთან დაკავშირება ვერ ხერხდებოდა და საჭირო იყო მაშველების დახმარება.

ჯგუფის ადგილსამყოფელის დასადგენად საძიებო-სამაშველო ღონისძიებები აბასთუმნის ტყის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეინჯერებმა დაიწყეს. მაშველებმა დაათვალიერეს ობსერვატორიის, ნასაბაჯვარის მთის, წყალსადენის და ზეკარის უღელტეხილის ტერიტორიები. ტურისტული ჯგუფი ნაპოვნია უვნებლად.

გადმოსახედი „დიდი სიმაღლიდან“...

რამდენიმე დღე მთავარ-ანგელოზთა კუნძულზე

8

ვიოლა ფონ კრამონი: მე არ ვყოფილვარ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის ინიციატორი, მან თავად მთხოვა შეხვედრა

— ამის შესახებ ევროპარლამენტარმა ვიოლა ფონ კრამონმა საქართველოს პირველ არხთან ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.

მისივე თქმით, შეხვედრისას ძირითადად უკრაინასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

„ჩვენ არ გვისაუბრია საქართველოზე, ძირითადად ვლაპარაკობდით უკრაინაზე, მარიუპოლზე. სააკაშვილს აინტერესებდა, რა ხდება ევროპარლამენტში უკრაინასთან დაკავშირებით. ასე რომ, ჩვენი საუბრის 99 პროცენტი ეხებოდა მარიუპოლს, სიტუაციას ფრონტის ხაზზე უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში და ზოგადად უკრაინასთან დაკავშირებულ საკითხებს. მან ერთადერთი კითხვა დასვა საქართველოსთან დაკავშირებით და მკითხა, თუ გააგზავნის ევროპარლამენტი სადამკვირვებლო მისიას საქართველოში დაგეგმილ არჩევნებზე. ჩვენ ცხადია, გვსურს ჩამოსვლა მუნიციპალურ არჩევნებზე, თუმცა, ჩვენ არ გვისაუბრია „ნაციონალურ მოძრაობაზე“. მე არ ვიცოდი, რომ პარტია ხელს არ აწერდა შეთანხმებას, სხვა შემთხვევაში, აღნიშნულს ვახსენებდი მასთან საუბრისას.

იმედი მაქვს, სააკაშვილი ძირითადად დაეთანხმება იმას, რასაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გააკეთებს საქართველოში და არ ჩაერევა მათ გადაწყვეტილებებში, რადგან ეს სარგებელს არ მოიტანს. ყოველთვის ვაკრიტიკებდი ასეთ ჩარევებს. არ ვფიქრობ, რომ გარე აქტორები უნდა ჩაერიონ პარტიულ ინტერესებში. ვფიქრობ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს აქვს საკმარისი მხარდაჭერა პარტიის წევრებისგან. უბრალოდ მინდა, ვთხოვო ყველას, დაიცვან წესები, იმოქმედონ სამართლიანად, პასუხისმგებლიანად მოიქცნენ და რაც შეიძლება მალე მოაწერონ ხელი შეთანხმებას. იმედი მაქვს, მიხეილ სააკაშვილი თავის გავლენას პარტიაზე ამ მიზნით გამოიყენებს“, — განაცხადა ვიოლა ფონ კრამონმა.

პრემიერ-მინისტრმა დიპლომატიურ კორპუსს გასვლით შეხვედრაზე უმასპინძლა

შეხვედრაზე მიმოიხილეს კოვიდპანდემიის მხრივ საქართველოსა და მსოფლიოში არსებული ვითარება, მათ შორის საუბარი შეეხო პანდემიით დაზარალებული ეკონომიკის აღდგენის, ასევე ტურიზმის, საერთაშორისო მიმოსვლის განახლების საკითხებს და ამ მხრივ როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო სახელმწიფოების გამოცდილებას.

მთავრობის წევრებმა დიპლომატებს მიაწოდეს ინფორმაცია ტურისტული სეზონისთვის მზადების და ამ მხრივ არსებული სურათის შესახებ. განიხილეს ვაქცინაციის მიმდინარეობის პროცესი და ვაქცინების მომარაგების მხრივ გლობალურად არსებული ვითარება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დიპლომატიურ კორპუსს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა პანდემიის დროს საქართველოს მხარდაჭერისთვის. ელჩებთან გასვლით შეხვედრაზე მიმოიხილეს განხორციელებული და დაგეგმილი მაღალი დონის ვიზიტები და კიდევ ერთხელ აღინიშნა ის მაღალი დონის მხარდაჭერა, რაც საქართველოს პარტნიორი და მეგობარი ქვეყნებისგან აქვს. ხაზი გაესვა დიპლომატიური კორპუსის აქტიურ ჩართულობას საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში.

დიპლომატიურმა კორპუსმა მადლობა გადაუხადა ქართულ მხარეს მსგავსი ფორმატით შეხვედრისთვის.

ტურიზმი რომ სწრაფად აღდგეს!

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ კახეთის გასტრონომიულ ტურში მიიღო მონაწილეობა. ტურის მიზანია ხელი შეუწყოს გასტროტურიზმის განვითარებასა და კახეთის რეგიონის გასტრონომიული შესაძლებლობების პოპულარიზაციას.

გასტროტურში, რომელიც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა, საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია, გასტრონომიული ტურიზმის ბიზნეს ასოციაცია და ქართული მედიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ტურის ფარგლებში ცნობილი შეფმზარეულების მონაწილეობით კულინარიული მასტერკლასები გაიმართა.

ნათია თურნავას თქმით, ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ტურიზმის აღდგენა.

„პანდემია არამხოლოდ პრობლემა და გამოწვევა იყო, არამედ მან ახალი შესაძლებლობების გაჩენის ბიძგიც მოგვცა. მათ შორის მნიშვნელოვანია, რომ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტურისტები მონატრებული არიან უნიკალურ ტურისტულ ბაზრებს და ეძებენ რაღაც სიახლეს. ჩვენ, საქართველო კი ვართ ძალიან მდიდარი — სხვადასხვა კუთხით, სადაც არის თავისი უნიკალური წეს-ჩვეულებები, უნიკალური გასტრონომია, კერძები, რომლებიც მხოლოდ ამა თუ იმ რეგიონში შეიძლება დააგემოვნო. ამიტომ ასეთი გასტროტურების მეშვეობით ვცდილობთ ქართული სამზარეულოს პოპულარიზაციას და გვინდა, რომ წარმოჩინდეს არამხოლოდ უკვე ცნობილი ტურისტული მიზიდულობის ცენტრები და ადგილები, მსხვილი ქალაქები, არამედ მცირე რეგიონული სასტუმროები, მცირე აგროტურისტული ობიექტები“, — აღნიშნა ნათია თურნავამ.

მინისტრის განცხადებით, აგროტურიზმი ჩვენი შემდგომი განვითარების, ტურიზმის სტრატეგიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იქნება.

შეეშინდა და საკუთარი გუნდი ამიტომ მიატოვა, ან შეგნებულად ითამაშა ნაცმოძრაობის თამაში!

გიორგი გახარიას შეეშინდა და საკუთარი გუნდი ამიტომ მიატოვა ან შეგნებულად ითამაშა „ნაციონალური მოძრაობის“ თამაში და უღალატა საკუთარ გუნდს, — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ სოციალურ ქსელ Facebook-ზე დაწერა.

„მათთვის, ვინც ჯერ კიდევ ვერ გაერკვა, ვის მოედანზე თამაშობს გიორგი გახარია:

1. „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, მისი(ვე) განცხადებით, გადადგა იმიტომ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის დაკავება ვერ გადაავადა;

2. უკიდურესად დაძაბული და კრიტიკული ვითარების დროს, ეს არ შედიოდა არც სახელმწიფოს, არც „ქართული ოცნების“ ინტერესებში და კიდევ უფრო ამძაფრებდა სიტუაციას;

3. მისი გადადგომა აწყობდა მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობას“. მათი რეაქციებიც ამასვე მოწმობდა.

4. თავისი ქმედებით მან საკუთარი გუნდი უდიდესი დარტყმის ქვეშ დააყენა;

5. მისგან დღემდე არ მოგვისმენია რეალური, რაციონალური, დამაჯერებლობის მინიმალური ხარისხის არგუმენტიც კი, — რას შეცვლიდა მელიას დაკავების 2-3 დღით გადადება;

მხოლოდ ორი ვარიანტია:

ეს ყველაფერი ვერ გაანალიზა, შეეშინდა და საკუთარი გუნდი ამიტომ მიატოვა ან შეგნებულად ითამაშა „ნაციონალური მოძრაობის“ თამაში და უღალატა საკუთარ გუნდს.

პირადად ჩემთვის (არსებული უტყუარი და ლოგიკური ინფორმაციების გარეშეც კი) პასუხი მარტივია.

რაც შეეხება მომავალს — გახარია იბრძვის იმისთვის, რომ თვითმმართველობის არჩევნებზე:

რამდენიმე დეპუტატი გაიყვანოს რამდენიმე რაიონის საკრებულოში

ან „ქართული ოცნება“ ჩამოაცილოს 43 პროცენტიან მაჩვენებელს, — ანუ აქაც „ნაციონალური მოძრაობის“ თამაში ითამაშოს.

პასუხი ამ შემთხვევაშიც მარტივია:

წარმოუდგენელია ნაციონალებისთვის, გადამდგარი გახარიას მისია მისი პარტიის რამდენიმე წარმომადგენლის საკრებულოს წევრობა იყოს“, — ნათქვამია განცხადებაში.

ვასაძე-დუგინის ფანდი კრემლის

„ტანკები თბილისზე“! — ამ ცნობილი ფრაზის ავტორმა, კრემლის პროპაგანდისტმა ალექსანდრე დუგინმა, როგორც ჩანს, უკანასკნელ პერიოდში ანტიდასავლური განწყობებით ცნობილი ქართველი „რაინდის“ ლევან ვასაძის „პიარ-მენეჯერობაც“ იტვირთა, ცდილობს რა, მათ შორის, კრემლისთვის ავტორიტეტულ ფიგურად წარმოჩენას. თავად ვასაძესთან დაახლოებული მედიასაშუალებები და ფეისბუქგვერდები კი „შრომობენ“, დუგინი რუსეთში გადაწყვეტილების მიმღებ ფიგურებთან ახლო კავშირში მყოფ, გავლენიან პერსონად შემოგვთავაზონ, რაც, თუ სურათს ფართო კონტექსტში დავინახავთ, ქართულ საზოგადოებაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზების შანსის მორიგი ილუზიის შექმნის მცდელობას უფრო ჰგავს, რომ ეს „შანსი“ თითქოს სწორედ ვასაძეს უკავშირდება.

ვიდრე კრემლის მორიგ წინასაარჩევნო განტოლებაში დუგინი-ვასაძის ტანდემის როლის დეტალურ გამოხატვისას შევუდგებოდეთ, გთავაზობთ ამონარიდს დუგინის ერთ-ერთი უკანასკნელი ინტერვიუდან, რომელიც მან „ალტინფოს“ მისცა და რომელიც რუსული პოლიტიკური ელიტისთვის გარკვეული მსჯელობის შეთავაზების საფარქვეშ, ვასაძის სასარგებლოდ ამომრჩეველთა მობილიზების მცდელობას ჰგავს კრემლის ტრადიციული პროპაგანდსტული გზავნილებით — „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება — ევროატლანტიკურ კურსზე უარის თქმისა და ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ“, ასევე ფანდებს „ერთმორწმუნეობისა“ და „ერების ისტორიული სიახლოვის“ თაობაზე:

„იმ ღრმა შინაგანი კულტურისა და ქართული თავაზიანობის მიუხედავად, რომელსაც ბატონი ვასაძე აზრის დაფიქსირებისას იჩენს, იგი არსად და არასოდეს წასულა კომპრომისზე იმ საკითხში, რომ საქართველო უნდა იყოს ერთიანი — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით. ასეთი იყო და არის მისი ხედვა. შესაბამისად, ჩვენც **(რუსეთს — რედ.)** გვმართებს, ამ საკითხში ჩამოვყალიბდეთ: ან ვინარჩუნებთ ამ ანკლავებს (რომელთა მომავალი თავად რუსეთისთვის, პერსპექტივაში, ცოტა არ იყოს, გაუგებარია) და ამით მუდმივად ცეცხლზე ნავთს ვასხამთ ქართველებთან ურთიერთობაში, ან ვფიქრდებით, რა უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის და ვასკვნით, რომ ეს სუვერენული საქართველოს ნამდვილი ნეიტრალიტეტია. ჩვენთვის კი საქართველოს ნეიტრალიტეტი ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა არ იყოს დამოკიდებული დასავლეთზე და არ იყოს ნატოს წევრი — რუსეთისთვის ეს საკმარისია. თუმცა ეს საკმაოდ რთული დილემაა. რა თქმა უნდა, ჩვენ ვისურვებდით, რომ ყველაფერი მთლად ევრაზიულად ყოფილიყო. მაგრამ იცით, მეც კი, რაც მეტად ვსწავლობ ისტორიას, მით მეტად ვრწმუნდები, რომ იყო იმპერია — ეს ხელოვნებაა და როცა ჩვენ მეტისმეტად ვახვევთ ვინმეს თავს ჩვენს ერთპიროვნულ ნებას (იგივეს აკეთებდნენ თავის დროზე რომაელები, ბიზანტიელები და ა.შ.), ეს კანონზომიერად ნეგატიურ დამოკიდებულებას წარმოშობს ჩვენთან ინტეგრაციის მიმართ. თუ ჩვენ იმპერიათმშენებლობის უნარს დავკარგავთ, ადრე თუ გვიან, შესაბამის შედეგებს მოვიმკით. ამ მხრივ ის, რაც საქართველოსთან ურთიერთობებში ხდება, ჩვენი ბრალია. ამიტომაც ვამჯობინებ, რომ რუსეთს სუვერენულ, სრულფასოვან, დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ჰქონდეს საქმე, რომლებიც არ იდგებიან ჩვენი მტრების მხარეზე და იქნებიან ან ნეიტრალურები, ან — კიდევ უკეთესი — ჩვენს მიმართ მეგობრულები, ვიდრე უშუალო ვასალებთან. ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ვასალიზაციაზე — ეს არის გაკვეთილი, რომელიც რუსეთის თანამედროვე ისტორიიდან გამოვიტანე“.



ვინ არის დუგინი

„ქართველებს რუსეთში დუგინის გავლენის გაზვიადება გვჩვევია. მეინსტრიმული აზრი, რომ „დუგინი კრემლის მთავარი იდეოლოგი, პუტინის ერთ-ერთი მთავარი მრჩეველია“, მნიშვნელოვანწილად მცდარია. კრემლის აკადემიურ წრეებში მას გარკვეული გავლენა ნამდვილად აქვს, გარკვეული კავშირი აქვს სახელისუფლებო წრეებთან და ამასთანავე, ჰყავს თავისი „მრევლიც“ —

№ 123-124. ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ-ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 7-8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 2021 ᲬᲔᲚᲘ.

ᲩᲐᲣᲚᲘᲚᲘ ᲐᲧᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐ!..

ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘ: ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲫᲔᲚᲨᲘ ᲛᲯᲓᲝᲛᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ ᲜᲘᲙᲐ ᲛᲔᲚᲘᲐᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲡ, ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲑᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲡ ᲔᲡ ᲓᲠᲝ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲝᲓᲐ ᲫᲐᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲔᲛᲘᲯᲜᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲘᲛᲐᲕᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲨᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲡᲕᲚᲐ...

მამუკა არეშიძის ეს განცხადება, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციისთვის არადამაჯერებელი და უტოპიური აღმოჩნდა. ამიტომ 3 ივნისს მამუკა არეშიძემ კვლავ გაიმეორა თავისი ნათქვამი, ამჯერად კიდევ უფრო დაზუსტებით: 18 თებერვალს სააკაშვილმა ვიდეომიმართვაში ილაპარაკა ე. წ. ალტერნატიული მთავრობის შექმნის თაობაზე, თავისი შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრებით. ამავე დღეს ამ სამინისტროების 20-მდე თანამშრომელს საჯაროდ უნდა განეცხადებინა სისტემის დატოვებისა და ახალი მთავრობის აღიარების შესახებ. მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ტელევიზიის მეშვეობით შეიქმნებოდა ძალოვანი სტრუქტურების რღვევის ეფექტიანი იმიტაცია. ამ ყველაფრის კულმინაცია უნდა ყოფილიყო 19 თებერვალს საქართველოში სააკაშვილის შემოსვლა სარფიდან, სადაც მას 500-მდე აქტივისტი უნდა დახვედროდა.

ბატონ მამუკა არეშიძეს კარგად ესმის, რომ ვერც ერთი თავმოყვარე პოლიტიკოსი, შესაბამისი საბუთის უქონლად, ამ ვერსიაზე სერიოზულად ლაპარაკს ვერ დაიწყებს. მე მქონდა ეს საბუთი და ვთქვი, რაც ვთქვი. პროცესები ისე ვითარდება, რომ ამ საბუთს ვინმე აუცილებლად გამოიტანს სააშკარაოზე, დაველოდოთო!

თუმცა, „საბუთის“ ჯერჯერობით არარსებობის მიუხედავად მოვლენათა სწორედ ასე მსვლელობა ფაქტობრივად დაადასტურა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ. ჩვენ უკვე 17 თებერვალს ვიცოდით ამ გეგმის არსებობაო. იცოდა თუ არა ეს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ, არ ვიცი, მაგრამ დასკვნები შეგიძლიათ თვითონ გამოიტანოთო. ეს ინფორმაცია გვქონდა ჩვენი კიეველი კოლეგებისგან და გახარიას არ გავანდეთ, რადგან უკვე ეჭვი გაჩნდა. **ᲘᲫᲘᲓᲐᲜ, ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, 2-3 ᲓᲦᲔ ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲐᲧᲘᲠᲐᲕᲔᲑᲗ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲝ, ᲐᲫᲘᲓᲐᲜ ᲙᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲛᲔᲚᲘᲐᲡ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘᲡ 2-3 ᲓᲦᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲡᲝ...**

მდაა!

შოკისმომგვრელი ინფორმაციაა, თუ მეტი არა! „უსაბუთოდაც“ თავზარდამცემ შთაბეჭდილებას ახდენს: მოსალოდნელი სახელმწიფო გადატრიალება, მასში ქვეყნის უმაღლესი პირის მონაწილეობის ვარაუდი და მოსალოდნელი გადატრიალების დამალვა პრემიერ-მინისტრისთვის... ეჭვის გამო. წარმოიდგინეთ, რა ამბავი შეიძლება მოჰყვეს „საბუთის“ გამოჩენას!..

* * *

ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲡ, გრძელდება პარტიათა რღვევა. ამჯერად ისედაც ყუაზე დასული რესპუბლიკური პარტია დატოვა მისმა ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ლევან ბერძენიშვილმა, ეს მას შემდეგ, რაც პარტიის კარი გაიჯახუნა თამარ კორძაიამ.

ლევან ბერძენიშვილი გულმოკლულია იმით, რომ პარტიამ ვერ შეინარჩუნა ეს ქალბატონი, რომელიც ასე იბრძოდა, რათა რესპუბლიკელები პარლამენტში დამოუკიდებლები ყოფილიყვნენ, მაგრამ ვერ მიაღწია. პარტიაში, რომელმაც კორძაიას შენარჩუნება ვერ შეძლო, ვერავითარ პერსპექტივას ვერ ვხედავო.

მაგრამ ლევან ბერძენიშვილი უფრო სხვა ამბავმა გააღიზიანა: პარლამენტში 3 ივნისს შეიქმნა ფრაქცია — „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“, რომლის ხელმძღვანელი იქნება რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე. ლ. ბერძენიშვილი აცხადებს, ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია ეს ფრაქცია მისი შემადგენლობის გამო, ყველა მიუღებელია, რადგან ყველამ გადადგა უზნეო ნაბიჯებიო. მკითხველს შევახსენებ ფრაქციის შემადგენლობას: გიორგი ვაშაძე, თეონა აქუბარდია,პაატა მანჯგალაძე — „სტრატეგია აღმაშენებელი“, რესპუბლიკელი ხათუნა სამნიძე, გირჩი ზურაბ ჯაფარიძე და უპარტიოები: ყოფილი ევროსაქართველოელი ტარიელ ნაკაიძე და ყოფილი ნაცი გრიგოლ ვაშაძე.

ბატონი ლევანი არ ამბობს, კერძოდ რა და რა „უზნეო“ ნაბიჯები აქვთ გადადგმული ფრაქციელებს (ყველას!), მაგრამ ამჯერად მგონი შეგვიძლია ვენდოთ!..

ᲐᲚᲔᲥᲡᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲮᲐᲚ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ

„მუშაობს“ საშუალო სტატისტიკურ ამომრჩეველზე, ასრულებს კრემლის გარკვეულ დაკვეთებს, ანუ აკეთებს საქმეს, რაშიც ფულს უხდიან, თუმცა ამავე საქმეს აკეთებს უამრავი სხვაც.

დუგინი რეალურად, საშუალო გავლენის მქონე პროპაგანდისტია, თუმცა, რა თქმა უნდა, სხვებზე არანაკლები ბოროტება“ — ამბობს „აქცენტთან“ „საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტიტუტის“ დამფუძნებელი დავით ბრაგვაძე.

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲘᲚᲣᲖᲘᲐ

ᲑᲠᲐᲒᲕᲐᲫᲘᲡ დაკვირვებით, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში მართლაც არსებობს მოსკოვთან ურთიერთობის ნორმალიზების განწყობა. ამას ანალიტიკოსი არც თავად ეწინააღმდეგება, თუმცა რეალური და არა ილუზორული შესაძლებლობების გამოყენებით.

ვასაძესთან აფილირებული მედიის მიერ „რაინდის“ მოსკოვური კონტაქტების მნიშვნელობის გამიზნულ გაზვიადებას, მათთან ვასაძის შეხვედრების ერთგვარ საჯაროობას კი იგი სწორედ ილუზორული შესაძლებლობების წარმოსახვის კონტექსტში განიხილავს:

„ვითარების იმგვარად წარმოჩენა, რომ ვასაძის მოსკოვური კონტაქტი კრემლის მთავარი იდეოლოგია, არა უბრალოდ ილუზიაა, არამედ სახიფათო ილუზიაც: ეს აჩენს მცდარ განცდას, რომ ვასაძეს პირდაპირი წვდომა აქვს რუსეთის სახელისუფლებო წრეებთან, რაც რეალობას არ შეესაბამება. ვასაძე არ არის ამ მასშტაბის ფიგურა (ერთადერთი ქართველი პოლიტიკოსი, რომელზეც შეიძლება, ვთქვათ, რომ პირდაპირი წვდომა ჰქონდა კრემლთან, არის ნინო ბურჯანაძე, მსგავსი მასშტაბის სხვა პრორუსი პოლიტიკოსი არ ყოფილა) და არც დუგინია ის პერსონა, რომელიც ვასაძის სათქმელს მიიტანს კრემლთან: ვიღაცასთან ალბათ, კი მიიტანს, ის ვიღაც — კიდევ ვიღაცასთან. უშუალოდ ვასაძე კი როგორც ჩანს, ქართულ პოლიტიკაში „პატრიოტთა ალიანსის“ ალტერნატივა, ახალი პროექტია — ფიგურა, რომელსაც ბიოგრაფია გაცილებით უფრო მეტად აკავშირებს რუსეთთან, ვიდრე იგივე ირმა ინაშვილს, და ეს ყველაფერი შეფუთულია „კონსერვატიულ ნაციონალისტურ“ საბურველში — „ქართველი პატრიოტი“, „ეკლესიის ჭეშმარიტი შვილი“ და ა.შ., — მთელი „თაიგულია“ სტერეოტიპული ქართველის თვისებებისა, რომლებიც მოსწონთ რუსეთში და თვლიან, რომ ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილშიც იწვევს დადებით ემოციას. სიახლე აქ მხოლოდ ისაა, რომ ვასაძის კონტაქტი არა უშუალოდ პოლიტიკური ფიგურაა, არამედ რუსეთის აკადემიური წრეებიდან (იქაური სტანდარტებით), რომლის გავლენაზეც ჩვენთან აშკარად გაზვიადებული წარმოდგენები არსებობს“.

დავით ბრაგვაძე კიდევ ერთ სახიფათო გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას:

„ვასაძე არ მალავს საკუთარ კონტაქტებს, მეტიც, თუ მის გზავნილებს დააკვირდებით, ერთ-ერთი მთავარი ასე ჟღერს: „მე უკვე შევაცვლევინე საქართველოზე აზრი რუსეთში ერთ-ერთ გავლენიან ფიგურას — დუგინს, ეს კი ნიშნავს, რომ მთლიანობაში რუსეთში იცვლება საქართველოს მიმართ პოზიციაო“... დუგინის ბოლოდროინდელ „სინქრონებში“ შესაძლოა, მართლაც ვხედავდეთ საქართველოს მიმართ ტონის ერთგვარ შეცვლას, თუმცა ეს რეალურად, შესაძლოა, იმაზე მიანიშნებდეს, რომ ახალ გზავნილებს „ტესტავენ“ — „თუ ვასაძე კრემლის მთავარ იდეოლოგს“ გარკვეულ საკითხებზე მოსაზრებებს შეაცვლევინებს, ეს ნიშნავს, რომ კრემლი და პუტინი იცვლიან დამოკიდებულებას“, რაც ერთმნიშვნელოვნად ტყუილია! ერთი რომ, როგორც უკვე ვთქვით, დუგინი (სრულიადაც გულწრფელი რომც იყოს) არაა ამ მასშტაბის ფიგურა და მეორეც, ვინც არ უნდა იყოს ქართველი პოლიტიკოსების კონტაქტი რუსეთში, რუსული რეალური პოლიტიკა ამ პროპაგანდისტული გზავნილებისგან ერთმნიშვნელოვნად განსხვავებულია“.

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ?

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ამ დრომდე არ ასრულებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმებას და არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს; აგვისტოს ომის შემდეგ ათასობით ქართველი იქცა დევნილად საკუთარ სამშობლოში და ამ საკითხის დაყენებისას რუსეთის წარმომადგენლები ყოველ ჯერზე დემარშით ტოვებენ ჟენევის დისკუსიების ფარგლებში გამართულ შეხვედრებს; სადღეისოდ არსებული მოცემულობით, რუსეთი ახორციელებს ეფექტურ კონტროლს საქართველოს ორ განუყოფელ ნაწილზე — აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე; მიუხედავად არაერთგზის მოთხოვნისა, რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ უშვებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას; კრემლმა საქართველოს ეს ორი რეგიონი აღიარა „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ და არათუ არ განიხილავს ამ გადაწყვეტილების უკან გაწვევის შესაძლებლობას, არამედ ანექსიისკენაც დგამს რეალურ ნაბიჯებს; გრძელდება მცოცავი ოკუპაცია საქართველოს ტერიტორიის მავთულხლართების შემოღობვის სახით (და ეს ყოველდღიურობად იქცა), რის გამოც უკვე ომის შემდეგ მოქალაქეებმა დაკარგეს სახლები და სახნავ-სათესი მიწები; საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიიდან, მათ შორის ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადიდან, თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში იტაცებენ საქართველოს მოქალაქეებს; ოკუპაციას უკანასკნელ წლებშიც ჰყავს მსხვერპლი ოთხოზორიას, ტატუნაშვილის, ბაშარულისა და კვარაცხელიას სახით — არც ერთ აღნიშნულ საქმეზე მართლმსაჯულება არ განხორციელებულა! ყურადღებას ამ შემთხვევაში აღარ გავამახვილებთ ეკონომიკურ ბერკეტებზე, რომლებსაც რუსეთი ყოველი შესაძლებლობისთანავე იყენებს საქართველოს წინააღმდეგ.

ვინ აფინანსებს უსინდისო ნაცებს?!

დემოკრატიით შეინიღბული დესტაბილიზაცია

რუსთაველის პროსპექტზე „ნაცმოძრაობის“ აქტივისტების კარვებთან უკრაინაში გაქცეული ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსახულებიანი ახალი ბანერი გაჩნდა, სახელწოდებით „შევხვდებით რუსთაველზე.“ ახალი ბანერი გამოჩნდა მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ შემოდგომაზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ხელისუფლებას შეცვლის და ამისათვის არაერთ „სიურპრიზს“ უმზადებს. ბანერი გაჩნდა მას შემდეგ, რაც „ნაცმოძრაობამ,“ რომელმაც უარი განაცხადა შარლ მიშელის დოკუმენტის ხელმოწერაზე, საჯაროდ განაცხადა, რომ პარლამენტში შესვლის მიუხედავად, არ წყვეტს ქუჩიდან ბრძოლას.

დიდი ალბათობით ქუჩის აქცია-პერფორმანსები არათუ გაგრძელდება, არამედ ადგილობრივი არჩევნების მოახლოების კვალობაზე მათი ინტენსივობა და აგრესიულობა კიდევ უფრო მოიმატებს. ამაზე მიანიშნებს, თუნდაც სააკაშვილის ბოლო განცხადება, რომ აპირებს „აქტიურად ჩაერთოს შემოდგომაზე ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით რეფერენდუმში და უშუალოდ უხელმძღვანელებს „ნაცმოძრაობის“ კამპანიას“. საინტერესოა, როგორ შეხვდება ამას „ნაცმოძრაობის“ ფორმალური ლიდერი **ნიკანორ მელია**, რომლისგანაც „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტი ოპოზიცია უშედეგოდ ცდილობს ზეპარტიული ლიდერის გამოძერწვას. თუკი კამპანიას სააკაშვილი უხელმძღვანელებს, სადაა იქ მელიას ადგილი?! თუ ისევ ქვასროლია ხელის ბიჭის როლს შეასრულებს?

ამავე დროს, თანდათანობით იკვეთება ტენდენცია, რომ „ფანჩატურის ოპოზიციის“ ის ნაწილი, რომელიც პარლამენტში შევიდა, გარეგნულად დემონსტრირებული უკმაყოფილების მიუხედავად, კარგად მოერგო საპარლამენტო საკვარძლებსა და ზოგადად საპარლამენტო ცხოვრებას. შექმნეს ორი ფრაქცია, მოიპოვეს საპარლამენტო ტრიბუნა და ა.შ., რაც მათ გაცილებით მეტი გავლენის ბერკეტებს აძლევთ, ვიდრე „ნაცმოძრაობის“ მომსახურე ტელეარხებზე სირბილი და გვარამიას ქილიკი, როდის ამოყოფენ თავს საცივიდან, გაუგებარ დეკლარაციებზე სტუდიაში ხელმოწერა და ა.შ. ჩნდება კითხვა – აწყობთ მათ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, სადაც შეიძლება ან საერთოდ პარლამენტს მიღმაც დარჩნენ მკვეთრად დავარდნილი რეიტინგის პირობებში, ან იგივე შედეგი აჩვენონ, რაც 2020-ში?!

ვითარების პიკანტურობა იმაშია, რომ პარლამენტში შესული „ფანჩატურის ოპოზიციის“ პარტიები, მხოლოდ მათთვის ცნობილი მიზეზების გამო, ჯერ ვერ ახერხებენ „ნაცმოძრაობისგან“, ბოლომდე გამიჯვნას და დამოუკიდებელ თამაშს. თუმცა, პოლიტიკური კონიუნქტურა უბიძგებს მათ ამისკენ.

მას შემდეგ, რაც დასავლეთის თვალში „ნაცმოძრაობის“ და „ევრონაცების“, როგორც ძირითადი პროდასავლური ძალების იმიჯი მნიშვნელოვნად გაუფერულდა და გაუფასურდა, გაჩნდა შანსი, რომ სხვა მომცრო პარტიებმა დაიკავონ ეს მომგებიანი ნიშა. პარლამენტში ორი ფრაქციის ჩამოყალიბება გაცხადებული პროდასავლური დღის წესრიგით და მათი შესაძლო სამომავლო ალიანსი იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ისინი შეეცდებიან თავად გახდნენ ის საყრდენი, რომელზედაც დასავლეთი ფსონს დადებდა. თუმცა, „პროდასავლურ“ ნიშაზე პრეტენზია აქვს როგორც „ქართულ ოცნებას,“ ისე მისი წიაღიდან გამოსულ გიორგი გახარიას პარტიას „საქართველოსთვის“.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ პარტიების ინტერესებში უნდა იყოს „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი შვილობილი „ევროპული საქართველოს,“ პოლიტიკური და ორგანიზაციული დასუსტება. ჩნდება კითხვა – რატომ უნდა დაუჭირონ მათ მხარი სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას“ რევოლუციურ სცენარში, საიდანაც არ იციან რა სარგებელს მიიღებენ, მით უმეტეს, რომ იციან „ნაცმოძრაობისთვის“ ისინი ერთჯერადი გამოყენების ნივთს წამოადგენენ?

რაც შეეხება რუსთაველზე კარვებით გამოხატულ ფსევდო-სამოქალაქო პროტესტს, ფორმალურად, ეს დემოკრატიის გამოხატულებაა. თუმცა, ბევრს, ალბათ, უჩნდება კითხვა – სადამდე შეიძლება ეს ყოველივე გაგრძელდეს?

მარტივი პასუხია – გაგრძელდება მანამდე, ვიდრე „ნაციონალებს“ ეყოფათ ფული აქციის შესანახად. უფრო რთული პასუხი – მანამდე, ვიდრე სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ მორიგ ფიასკოს არ განიცდიან თავიანთ „რევოლუციურ“ ვნებებში. ეს გაგრძელდება მანამდე, ვიდრე პასიონარული უმცირესობის პროტესტის გამოხატვის თავისუფლების უფლებები და ფორმები კანონით არ დარეგულირდება ისე, რომ ამით არ შეილახოს სხვათა უფლებები.

ზაალ ანჯაფარიძე

დავით ზარდიაშვილი: ხაზარაძის ინიციატივა კიდევ ერთხელ მიუთითებს მის არაკვალიფიციურობაზე!..

მამუკა ხაზარაძე გამოდის ინიციატივით, რომ ადგილობრივ არჩევნებზე ამომრჩეველს აჩვენონ, როგორ შეიძლება თბილისის მაგალითზე კოალიციური მმართველობა ჰქონდეთ. „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერის განცხადებით, ამ ყველაფრისთვის საჭირო, ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა უარი თქვან მერობის პოსტზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებაზე, რადგან ხაზარაძეს მიაჩნია, რომ თბილისის მერი უნდა იყოს მეურნე ადამიანი და არა რომელიმე პარტიის წარმომადგენელი.

„ლელოს“ ლიდერის ინიციატივას არ იზიარებს ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი და აცხადებს, რომ ეს ინიციატივა ადასტურებს ხაზარაძის არაკვალიფიციურობას.

– თბილისის მერი უნდა იყოს მეურნე ადამიანი და არა რომელიმე პარტიის წარმომადგენელი. არაპოლიტიკოსის მერად წარდგენის ლოგიკაში ხაზარაძეს არ მიჰყვება უმრავლესობა. თუ გახსენდებათ მეურნე მერი, რომელიც პოლიტიკასთან არ იყო კავშირში და რამდენად მისაღებია თქვენთვის ეს ინიციატივა?

– დავით ზარდიაშვილი: მისაღები კი არ არის, არამედ ეს ადასტურებს საარაკო არაკვალიფიციურობას, იმიტომ, რომ ხაზარაძეს, საერთოდ, წარმოდგენა არ აქვს რას ეპოტინება, არჩევნების მოგება უნდა, მაგრამ ფუნქციურად რა არის ქალაქის მერი, წარმოდგენა არ აქვს. პოლიტიკოსი, ქალაქის ხელმძღვანელი გახლავთ ადგილობრივი თვითმმართველობის მეთაური. იმთავითვე ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკური ფიგურაა და ის პასუხს აგებს არა მარტო სამეურნეო ფუნქციებზე. ზოგს ასე ჰგონია, რომ თვითმმართველობა სამეურნეო ფუნქციამდე არის დაყვანილი. რასაკვირველია, ასე არ არის.

პრაქტიკულად, ყველა ის ამოცანა, რაც სახელმწიფოს აქვს, გარდა რამდენიმე საკითხისა, რაც არის უსაფრთხოება, თავდაცვა, მაკროეკონომიკა და ა.შ. ყველა ეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხი თავს იყრის თვითმმართველობაში და მეტიც, თვითმმართველობა უფრო მნიშვნელოვანია მოქალაქეებისთვის. მთავარი, რაც პოლიტიკაში კეთდება მოქალაქეების სასარგებლოდ, წყდება სწორედ თვითმმართველობის დონეზე, ყველა ადამიანს ეხება და ბუნებრივია, რომ ყველა არის დაინტერესებული წარმატებული იყოს ქალაქის პოლიტიკა და მერი არის ამ პოლიტიკის წარმმართველი.

– ხაზარაძის ლოგიკით, კოალიცია ნიშნავს იმას, რომ მერი უნდა იყოს მეურნე და არა პოლიტიკოსი...

– მე კარგად არ მესმის რას ნიშნავს ეს მეურნე. ეს არის საბჭოური ნოსტალგია, „სოვხოზი“, „კოლხოზი“, „ზავხოზი“, რომელიც მაშინ არსებობდა. რას ნიშნავს მეურნე? – პოლიტიკოსი მეურნეც არის, ადმინისტრატორიც, ინვესტორიც და ყველაფერი ერთად არის. სწორედ ეს არის პოლიტიკა – შესაძლებლობების ხელოვნება. რახან ამ ადამიანს არ ესმის მერის დანიშნულება, მისი ფუნქცია და ძირითადი ამოცანები, ეს მისი პრობლემაა.

მერი არის ხელმძღვანელი, რომელმაც მთელი ქალაქი უნდა აიყოლიოს და უკეთესი მომავლისკენ უნდა წაიყვანოს. ეს არის მისი მთავარი ფუნქცია. ის უნდა იყოს მოწინავე პოლიტიკური ლიდერი, რომელიც დარაზმავს მთელს ადგილობრივ თვითმმართველობას და უკეთეს მომავალს შექმნის.

– მერი, საქართველოს კანონმდებლობით და თავისი არსით არის თანამდებობის პირი. თავისთავად ლოგიკას მოკლებულია, რომ ეს არ იცოდეს ხაზარაძემ. როგორ ფიქრობთ, რა მიზანი აქვს ხაზარაძეს სინამდვილეში?

– ლოგიკას მოკლებული კი არ არის, არამედ ნამდვილად ასეა. ეს არის ჩარჩენილი, ნაკომკავშირალი ადამიანი, რომელსაც ბანკიც კი, სამეურნეო ერთეული ეგონა და აკეთებდა იმას, რაც უნდოდა. „სოვხოზი“, თუ „კოლხოზი“ ჰგონია ყველა ის ადგილი, სადაც არის და ამ მდგომარეობიდან ვერ გამოდის. ეს ადამიანი ვერ შეიცვლება, წარმოუდგენელია. როდესაც ასეთ რამეს ამბობს, კი არ თამაშობს, ან რამეს კი არ იგონებს, პოლიტიკურ სპექტაკლებს კი არ დგამს, არამედ ასე ჰგონია.

საუბრობს კოალიციურ მმართველობაზე და არ იცის, რომ თბილისში კოალიციური მმართველობა ვერ იქნება!... ეს შეიძლება კანონმდებლობის ხარვეზია, მაგრამ ჯერჯერობით ასეა. ერთპიროვნულად, როდესაც მერი არის ხელმძღვანელი და მმართველობის ორგანო არის აღმასრულებელი ორგანო, კოალიცია როგორ იქნება?

– თუკი ოპოზიცია შეთანხმდება ერთიან კანდიდატურაზე, ეს რამდენად იქნება პრობლემა „ქართული ოცნებისთვის“?

– ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი კანდიდატი იქნება, თუ მრავალი – „ქართულ ოცნებას“ აქვს ასეთი ამოცანა – პირველ ტურში 50%+1 ხმა მაინც უნდა მიიღოს, თუ არადა ფარდობითი უმრავლესობით მეორე ტურში მოიგებს. საერთო კანდიდატს დაასახელებს თუ არა ოპოზიცია, „ქართული ოცნების“ ამოცანა და საარჩევნო სტრატეგია არ იცვლება, იცვლება მხოლოდ ტაქტიკა. თუკი „ქართულ ოცნებას“ ეყოლება ერთი სამიზნე, ტაქტიკური სვლა გაუადვილდება.

– ელოდებით, რომ თბილისში შესაძლოა საჭირო გახდეს მეორე ტური?

– არ ვიცი, შესაძლებელია. რადგან მმართველმა გუნდმა გადაწყვიტა, რომ კახა კალაძე იყოს თბილისის მერობის კანდიდატი, მას აქვს რეალური შანსი, რომ პირველივე ტურში დადოს შედეგი, მაგრამ ეს არ არის 100%–იანი შანსი. ამას მუშაობა და საკმაოდ სერიოზული საარჩევნო კამპანია დასჭირდება.

– თქვენ ფიქრობთ, რომ კალაძეზე შეჩერდება „ოცნების“ არჩევანი?

– თითქმის დარწმუნებული ვარ. რამდენადაც ვიცი, თითქმის გადაწყვეტილია ეს საკითხი.

– რამდენად შეძლებს ოპოზიცია ერთი კანდიდატის გარშემო გაერთიანებას, ეს თემა ბუნდოვანია. ბუნებრივია, აქ არ ვგულისხმობ ლევან ვასაძეს და გიორგი გახარიას, რომლებიც ასევე იბრძოლებენ მერის არჩევნებში. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა – შეძლებს კალაძე პირველ ტურში შედეგის დადებას?

– წარმოუდგენლად მეჩვენება, რომ ოპოზიცია ერთ კანდიდატზე შეთანხმდეს. ასეც რომ მოხდეს, კალაძის ამოცანა არ იცვლება – პირველ ტურში უნდა მოიპოვოს 50%+1 ხმა, რადგან შესაძლებელია, გახარიამ წაიღოს რაღაცა ხმები, ასევე ვასაძემ.

– ვასაძე და გახარია რამდენად პრობლემური იქნება კალაძისთვის?

– რასაკვირველია, სერიოზული, ანგარიშგასაწევი ფაქტორი იქნება. კალაძის ამოცანა ნათელია – „ქართული ოცნების“, ამომრჩეველი, ვინც საპარლამენტო არჩევნებში ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, არ შემცირდეს, არ გაიყოს და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი არ დაიკარგოს გახარიას და ვასაძის სასარგებლოდ, ეს იქნება მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. ვასაძის შემთხვევაში ნაკლებად მოსალოდნელია, ალბათ, უფრო გახარიასკენ შეიძლება გადაიხაროს „ოცნების“ ამომრჩევლის რაღაცა ნაწილი და ეს ნამდვილად არის მოსალოდნელი.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ვინ გაუჩეჩქავს თავს გველეშაპს?!

რას გვპირდება გიორგი გახარია?!

სტატიაში, „კოლხებს ბრძოლის ველიდან გაქცევა არ სჩვევიათ!“ ვწერდი, რომ პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მოულოდნელმა გადადგომამ, ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. მითუმეტეს, მიზეზი, რის გამოც მან გადადგომა გადაწყვიტა, ფრიად საეჭვოდ გამოიყურებოდა!

თუ მის არგუმენტს ვერწმუნებით, ამ ნაბიჯით მან ქვეყანას სამოქალაქო დაპირისპირება ააცილა, მაგრამ, როცა ყველა ბერკეტი ხელში გიჭირავს და შეგიძლია ჩასაფრებულთა (პროვოკატორთა) ინტრიგები დათრგუნო, შენ კი არ უნდა წახვიდე და ამით პასუხისმგებლობა აირიდო, არამედ, თვითონ უნდა მიაბრძანო პროვოკატორები, სადაც ჯერ არს!

ბევრი დღესაც დაბეჯითებით ცდილობს გახარიას ნაბიჯის (გადადგომას ვგულისხმობ) გამართლებას — „ამტკიცებენ“, რომ თუ გახარია იმ კონკრეტულ მომენტში არ გადადგებოდა, „ნაციონალების“ სათაო ოფისში **ნიკა მელიას** შტურმით დაკავებისას ტყვია გავარდებოდა და მთელ პასუხისმგებლობას სწორედ პრემიერ-მინისტრს აკიდებდნენ!

მიუხედავად იმისა, რომ **ნიკა მელიას** „ნაციონალების“ ოფისში დაკავებამ უმსხვერპლოდ ჩაიარა, არ გამოვრიცხავ, მართლაც მზადდებოდა შეთქმულება **გიორგი გახარიას** წინააღმდეგ, რომელიც **„ქართულ ოცნებაში“** ყველაზე დაბალანსებულ და ზომიერად პრინციპულ სახედ ითვლებოდა, მაგრამ ეს არ გვაძლევს საშუალებას, გახარიას მოულოდნელი გადადგომა გავამართლოთ **— მას ან უნდა დაესახელებინა მთავრობის ის წევრები (უპირველესად, იგულისხმება ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები), რომლებიც არ ეთანხმებოდნენ მის მოსაზრებას და მოითხოვდნენ „ნაციონალების“ ოფისზე შტურმით დაეკავებინათ ჩვენი დროის „გმირი“ ნიკა მელია, ან იგივე ხელქვეითები გადაეყენებინა თანამდებობებიდან და მხოლოდ ამის შემდეგ მოეჯახუნებინა კარი „ქართული ოცნებისთვის“!**

მან ეს არ გააკეთა — მხოლოდ „დაგვაიმედა“, რომ პოლიტიკიდან არ მიდიოდა!

* * *

მე არ მივეკუთვნები იმ ადამიანების კატეგორიას, ვინც 2019 წლის 20 ივნისზე პასუხისმგებლობას მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს, **გიორგი გახარიას** აკისრებს. პასუხისმგებლობას იგი მაშინ ვერ გაექცეოდა, სადავეები ხელიდან გაუშვა და ამით ხელი შეუწყო დესტრუქციულ ძალებს — დაეკავებინათ პარლამენტის შენობა, რაც თავისთავად სახელმწიფო გადატრიალებას ნიშნავდა!

მიუხედავად 20 ივნისის შტურმის დროს დაზარალებულებისა, მიმაჩნია, რომ უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო და ობიექტურად მას მხოლოდ უმაღლესი სახელმწიფო ინსტიტუტების კანონიერად დაცვის კვალიფიკაცია მიეცემოდა. სხვანაირად, გაუგებარია მავანთა „აღშფოთება“, რომლებიც 20 ივნისის მოვლენას ცალმხრივად აფასებენ — შენ მოდიხარ, ძალით გადაატრიალო ხელისუფლება და ჩამოშალო სახელმწიფო ინსტიტუტები და ჩემგან (მოქმედი ხელისუფლებისგან) ითხოვ ტყვიების (არა აქვს მნიშვნელობა რეზინის იქნება თუ დათვის) ნაცვლად ყვავილები გესროლო?!

მითუმეტეს, ჩვენ, ქართველებს გვაქვს მწარე გამოცდილება, როცა ამბოხებულების მოგერიება ყვავილებით მოვინდომეთ (**ზვიად გამსახურდია:** „თუ ისინი ტყვიებს გვესვრიან, ჩვენ ყვავილებს ვესვრით“), სანაცვლოდ კი სისხლიანი რუსთაველი მივიღეთ, რომლის ანარეკლია სწორედ ჩვენი დღევანდელი სავალალო მდგომარეობა და მთელი ათწლეულების განმავლობაში მოღალატეთა კასტის თარეში საქართველოს ხელისუფლებაში!

ასე რომ, 20 ივნისის **„გავრილოვის ღამეში“ გახარიას** დადანაშაულება თავში მხოლოდ დესტრუქციულ ძალებს და საზოგადოების ზომბირებულ ნაწილს შეიძლება მოუვიდეს!

* * *

სოციალურ ქსელში ცნობილი ჟურნალისტის **პაატა ნაცვლიშვილის** სტატუსი წავიკითხე, სადაც იგი სამართლიანად აღნიშნავს: **ისტორიას არ ახსოვს, პრემიერ-მინისტრი საკუთარი ნებით მიდიოდეს თანამდებობიდან და მერე პოლიტიკურ პარტიას ქმნიდესო!**

დიახ, გადადგომის ფორმასაც გააჩნია, თორემ **გიორგი გახარიას** „კუდი“ რომ მოექნია და საკუთარი ღირსება დაეცვა, პოლიტიკაში დაბრუნების მიზეზიც აშკარად გაჩნდებოდა.

უფრო ვაჟკაცური იქნებოდა, გახარია მაშინ გადამდგარიყო, როცა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან ოფიციალურად წასვლის შემდეგ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიის პირველი ნომერი და იმ დროისთვის პოპულარული პრემიერ-მინისტრი თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეს და მეურვედ პარტიის ლიდერი ირაკლი კობახიძე დაუნიშნეს. აქსიომაა, რომ ამით მას პარტიული ბერკეტები გამოაცალეს ხელიდან და მისი პრემიერ-მინისტრობაც ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა.

კარგია, დინჯი, გაწონასწორებული, ერუდირებული (გახარიას განათლებასა და ერუდიციას, ინტრიგანის გარდა ვერავინ დაიწუნებს) პოლიტიკოსის იმიჯით სარგებლობდე, მაგრამ მარტო ეს თვისებები (რესურსები) არ არის საკმარისი, ერს ემსახურო და საქვეყნო საქმე აკეთო — **საჭიროების შემთხვევაში „ხმლის“ მოქნევაც უნდა შეძლო და სარისკო გადაწყვეტილებების მიღების მაგალითიც უნდა აჩვენო!**

სამწუხაროდ, **გახარიამ** ეს ვერ შეძლო, ან შეგნებულად არ გააკეთა, რაც მისი პოლიტიკაში ხელახლა შემოსვლის აუცილებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს!

* * *

საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დომინირებს აზრი, რომ **გიორგი გახარია** პრორუსული პროექტია. ზოგიერთები **ივანიშვილისკენ** იშვერენ თითს და ამბობენ, რომ იგი სწორედ **ივანიშვილმა** შემოიყვანა პოლიტიკაში და ექს-პრემიერით **„ქართული ოცნების“** ჩანაცვლება აქვს გადაწყვეტილი.

მიამიტი უნდა იყო, ან ერთი, ან მეორე ვერსია დაიჯერო:

ჯერ ერთი, **„პრორუსული“** და **„პროდასავლური“** („პროამერიკული“) პროექტი პირობითია და ჩვენს გაბითურებას ემსახურება: **დღეს არ არსებობს წმინდა რუსული და ამერიკული პროექტები, რადგან, გლობალურ პოლიტიკას ცალკე აღებული რუსები ან ამერიკელები არ განსაზღვრავენ — არსებობს გლობალური პოლიტიკა (მსოფლმთავრობა) და გლობალური პროექტები. გახარია სწორედ ამ გლობალური პროექტის ნაწილია.** აქედან გამომდინარე, მისი აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნება, საკუთარ ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული: არ დაგვავიწყდეს, გახარია სახელმწიფოს უმაღლესი რანგის №1 ჩინოვნიკი იყო — არა აქვს მნიშვნელობა, რეალური თუ ნომინალური, ყოველ შემთხვევაში, ხილული თუ უხილავი ძაფებით გადანასკვულია გლობალურ პოლიტიკასთან!

უფრო შორს არ წავალ...

* * *

ზემოთ სიტყვები **„რეალური“** და **„ნომინალური“** ვახსენე.

გახარია რეალური მმართველი რომ არ ყოფილა, მისმა მოულოდნელმა გადადგომამაც დაადასტურა. ამის მიზეზად მავანნი საკუთარი გუნდის არარსებობას ასახელებდნენ, ანუ მას მმართველ პარტიაში (პარლამენტში) არ ჰყავდა მხარდამჭერთა საკმარისი რაოდენობა, რომ რეალური გადაწყვეტილებები მიეღო. ამბობენ იმასაც, რომ ივანიშვილიც არ უჭერდა ბოლომდე მხარს.

ეს ყველაფერი ზღაპრებია, ისეთი ზღაპრები, ბავშვობაში ჩვენ რომ გვიყვებოდნენ და გვაჯერებდნენ!

რეალობა ისაა, რომ მისი პოლიტიკაში დაბრუნებით და საკუთარი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებით იმაზე მეტს ვერ გააკეთებს, რაც აქამდე გააკეთა, რადგან, ჯერ ერთი, უმრავლესობაში ვერ მოვა (ამის ერთ-ერთი მიზეზი ე.წ. დანიელსონის დოქტრინაა), მეორეც, იგი, როგორც ექს-პრემიერი საერთაშორისო ვალდებულებებით დატვირთული პერსონაა და ქართული საქმის გაკეთებისა და „შორს გაჭრის“ საშუალებას არ მისცემენ.

ამდენად, ილუზიაა იმის გაფიქრებაც კი, რომ მისი პოლიტიკაში შემოიჭრა თეთრ ცხენზე ამხედრებული გიორგი, რომელიც გველეშაპს თავს გააგდებინებს!

* * *

აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებულმა ექს-პრემიერმა საკუთარი პოლიტიკური პარტიის პრეზენტაცია მოაწყო და გუნდიც წარადგინა. წარდგენა კოვიდსიტუაციის გათვალისწინებით, ერთობ პომპეზური გახლდათ, თუმცა, ეს ნაკლებად არსებითია.

მთავარია, რა პოლიტიკური გზავნილები მიიღო მისგანთ საზოგადოებამ და როგორ შეიძლება შეფასდეს მის მიერ წარდგენილი გუნდი?!

დავიწყოთ იქიდან, რომ პოლიტიკური გაერთიანების სახელწოდება — **„საქართველოსთვის“** ორიგინალობით არ გამოირჩევა — საკმაოდ მარტივი და ბანალურია (არსებობს **„ერთიანი საქართველოსთვის“, „მთლიანი საქართველოსთვის“** და სხვ.). არც მათი საპროგრამო ლოზუნგი **„არავის წინააღმდეგ“** არ იძლევა დამშვიდების საშუალებას — როცა აქტიურ პოლიტიკაში შემოდიხარ და მითუმეტეს, საკუთარ პარტიას აფუძნებ, წინააღმდეგობის გარეშე, როგორ აპირებ რეალური საქმეების კეთებას?

მითუმეტეს, ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში, სადაც პოზიციაც და ოპოზიციაც ანტიქართულ თამაშს თამაშობენ?!

როგორ შეიძლება თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა ულტრალიბერასტებთან და პოლიტიკურ კრიმინალებთან და იმაშიც დაარწმუნო საზოგადოება, რომ დამძიმებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის გამოსასწორებლად მოდიხარ?!

როგორ დაგიჯერო, რომ ნეპოტიზმისა და კორუფციის დამარცხებას აპირებ, როცა მთავრობის მეთაურად მუშაობის პერიოდში, ამაზე კრინტიც არ დაგიძრავს, ხოლო, ახლა, კონკრეტიკისგან თავს იკავებ და მხოლოდ ზოგადი არაფრისმთქმელი ფრაზებით იფარგლები?!

როგორ აპირებ „სამართლიანი წესრიგის“ დამკვიდრებას ქვეყანაში, როცა სახელისუფლებო ვერტიკალი ქართულ ინტერესებს არ ემორჩილება და გარედან მიღებული დირექტივებით იკვებება?!

როგორ აპირებ სახელდახელოდ წარდგენილი გუნდით არსებით გარღვევას ქართულ პოლიტიკაში, რომელთა რიგებში ერთი ახალი, ჭეშმარიტად ქართული სახე ვერ დავლანდე? „წარმატებული“ საჯარო მოხელე არ ნიშნავს, რომ იგი ურთულეს სახელმწიფოებრივ გამოწვევებს დაძლევს.

ჩემზე დაუკმაყოფილებლობის განცდა დატოვა ახალი პოლიტიკური პარტიის ლიდერის ბრიფინგმაც. იქაც ზოგადი პასუხები არსებითად ლეგიტიმურ კითხვებზე და არც ერთი ნოვატორული ინიციატივა!..

მას სიტყვაც არ დასცდენია ძლიერი საპრეზიდენტო მოდელის აუცილებლობაზე, რომელიც გარკვეულწილად ამაღლებს პიროვნულ პასუხისმგებლობას.

მას ორაზროვანი პასუხი ჰქონდა „ნამოხვანჰესთან“ დაკავშირებითაც. ნაცვლად იმისა, რომ ყურადღება გაემახვილებინა ანტიქართულ, მოღალატურ ხელშეკრულებაზე, განაცხადა, რომ სხვა ჰესებთან მიმართებაში უფრო კაბალური ხელშეკრულებებიც არსებობს, ვიდრე „ნამოხვანჰესის“ შემთხვევაში(?!) სამწუხაროდ, კრინტიც არ დაუძრავს. საპროტესტო გამოსვლებზე და საკუთარ პასუხისმგებლობაზე აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

ერთი სიტყვით, კითხვები ბევრია, თუმცა, დარწმუნებული ვარ, პასუხები ზოგად რიტორიკას მაინც არ გაცდება.



ზაურ ნაჭყებია

P.S. ბევრი გიორგი გახარიას პარტიას მომავალ არჩევნებში სერიოზულ შედეგებს „უწინასწარმეტყველებს“. იმასაც ამბობენ, პოლიტიკაში ასევე ახლად შემოსულ ლევან ვასაძეს შედეგებით საგრძნობლად გადაუსწრებსო! მერე რა, ასეც რომ იყოს — საქართველოსთვის რა შეიცვლება?! არც არაფერი, ისევ მოჯადოებულ წრეზე ვიტრიალებთ.

გამოხატვის თავისუფლება ქართულ-ჯიგრულად...

უცნაური ხალხი ვართ ქართველები – ყველაფერი ჩვენებურად, ჯიგრულ-ქართულ პონტში გვესმის. მთელი მსოფლიო გაიძახის: არ შეიძლება სახელმწიფოს ჰყავდეს მუდმივი მტრები და მუდმივი მეგობრები, მხოლოდ ქვეყნის ინტერესებია მუდმივი! ჩვენ კი, **მუდმივად სხვა ქვეყნის საამებლად ან ჯიბრზე ვმოქმედებთ – არ ვაანალიზებთ, რა სურს, რას მოელის (უფრო სწორად, რას გამოელის) ესა თუ ის ქვეყანა საქართველოსგან. თუ მოდურად და პროგრესულად ითვლება რამე ან ვინმე, თვალდახუჭული მივყვებით.**

მოდის აყოლამ მიიყვანა საქართველო ილიას უარყოფამდე და სოციალ-დემოკრატების გაფეტიშებამდე.

ილია ჭავჭავაძე იმ დროს მოდურ, მარქსიზმის დროშით შეიარაღებულ **ნოე ჟორდანიაზე** წერდა – **„მეცნიერი მარქსი და უმეცარი ჟორდანიაო“,** მაგრამ ვინ დაუჯერა, ილია მოკლეს და სწორედ ეს უმეცრება აირჩიეს.

მოკლედ, ცხოვრებაც ჩვენებურად გვესმის და პოლიტიკაც!

კომუნისტებიდან მოყოლებული, დისიდენტების მიერ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამკვიდრებული **„ადამიანის უფლებების“** გაგებაც თანდათან ისე გაუკუღმართდა, რომ დღეს სრულიად სხვა შინაარსი და დანიშნულება შეიძინა. როგორც კომუნისტების საბრძოლო იარაღი იყო მარქსისა და ლენინის ციტატების წაღმა-უკუღმა უშინაარსოდ ტრიალი და ამით ფონს გასვლა, ისე ბევრი დღევანდელი „უფლებადამცველისთვის“ ყოველ კრიტიკულ შემთხვევაში „ადამიანის უფლებებზე“წაღმა-უკუღმა აპელირება ყველა ოპონენტის განიარაღების მთავარ საშუალებად იქცა!

ჩვენთვის, 70-80-იანი წლების დისიდენტებისთვის **„ადამიანის უფლებების“** დაცვა წარმოადგენდა მიზანს, რომლის მისაღწევად სხვადასხვა საშუალებებს ვიყენებდით, დღევანდელი „უფლებადამცველებისთვის“ „ადამიანის უფლებები“ წარმოადგენს მხოლოდ საშუალებას იმ სანუკვარი მიზნის მისაღწევად, რასაც პოლიტიკური კარიერა ჰქვია.

გადაავლეთ თვალი, რამდენმა ყოფილმა უფლებადამცველმა გამოიყენა ტრამპლინად **„ადამიანის უფლებები“** პოლიტიკური კარიერისთვის – ასეთები ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც იმდენია, რომ მხოლოდ მათი ვინაობის ჩამოთვლას ბევრი ფურცელი დასჭირდება.

კომუნისტური კარიერის გასაკეთებლად აუცილებელი გზა იყო აქტიური კომკავშირლობა, დღეს კი ახალგაზრდები ხედავენ, რომ პოლიტიკური კარიერისთვის ყველაზე ეფექტური გზა სწორედ „ადამიანის უფლებების“ დამცველის სტატუსია. ჰოდა, რა ენაღვლებათ: **ირქმევენ უფლებადამცველებს, საშოქალაქო აქტივისტებს, მერე გამოხატვის თავისუფლების ეგიდით ერთმანეთს ეჯიბრებიან ცილისწამებაში, ლანძღვა-გინებაში, მალევე ხდებიან პოლიტიკური პარტიის ინტერესების გამხმოვანებელი „უფლებადამცველები“, ხოლო ხვალ თუ ზეგ უკვე ამ პარტიაში წამყვან ადგილს იკავებენ.**

დააკვირდით, დღევანდელ პარლამენტარებს შორისაც რამდენმა გაიარა ეს გზა.

დღეს „გამოხატვის თავისუფლება“ ისეთ ჯადოსნურ ფრაზად იქცა, რომ ყველანაირი მოქმედების გამართლება შეიძლება.

ქართველი ე.წ უფლებადამცველები, სახელმწიფო, კერძო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებებში შეჭრასაც „გამოხატვის თავისუფლებად“ ასაღებენ.

პარლამენტში, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, გენერალურ პროკურატურაში ან მიზანში ამოღებულ ნებისმიერ სხვა ობიექტში შეჭრის საშუალებას არ მაძლევენ ხელისუფლების წარმომადგენლები? ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არღვევენ ჩვენი გამოხატვის თავისუფლებას. არადა ყველამ იცის, რომ პარლამენტში შეჭრა ქართულ-ჯიგრულ პონტში სწორედაც რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაა, რომელსაც შემდეგ რომელიმე ყვავილის სახელობის რევოლუცია დაერქმევა (ესეც ქართულ-ჯიგრულ პონტში).

მოკლედ, რამდენჯერ უნდა დავრწმუნდეთ, რომ სწორედ კეთილშობილური იდეებითაა მოკირწყლული ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა!

ნანა კაკაბაძე,
გელა ნიკოლაიშვილი,
ტარიელ ღვინიაშვილი.
საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმრები.

ქვეყანაში ინფლაციამ 10-წლიანი რეკორდი მოხსნა!

ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი?

ლარის ელვისებური გამყარებისა და ეკონომიკის გახნის ფონზე, ქვეყანა, წესით და რიგით, ფასების შემცირებას დღედღეზე უნდა ელოდებოდეს, სინადვილეში კი პირიქითაა. მაისში ქვეყნაში არნახული ინფლაცია აღირიცხა. ასეთი მაღალი ნიშნული მხოლოდ 10 წლის წინ იყო! უკვე აშკარაა, რომ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა თავს ვეღარაფერს ართმევს და მისდამი უკმაყოფილება სწრაფად იზრდება.

გაზაფხულის ბოლო თვეს ინფლაციის ტემპი დაჩქარდა და მაისში რეკორდულ 7.7%-იან მაჩვენებელს მიაღწია. აპრილთან შედარებით კი ინფლაციის დონემ 0.7%-ით მოიმატა. რასაკვირველია, განსაკუთრებული როლი ამ მიმართულებით ითამაშა საწვავმა, ზეთმა, წიწიბურამ, შაქარმა და სხვა იმპორტირებულმა საკვებმა პროდუქტმა, აგრეთვე – სატრანსპორტო მომსახურების გაძვირებამ.

ეკონომისტების ნაწილი ინფლაციის მაჩვენებლის მკვეთრ ზრდას ელოდა კიდეც. „აისეტის“ კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი, **დავით კეშელავა** აღნიშნავს, რომ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შედეგები ინფლაციის მაჩვენებლებში მხოლოდ საშუალოვადიან პერიოდში აისახება.

„მოსალოდნელი იყო, რომ ინფლაციის მაჩვენებელი მიზნობრივზე მაღალი იქნებოდა. ფაქტორები, რომლებიც ძირითადად იწვევენ ინფლაციის მაღალ მაჩვენებელს, ჯერ კიდევ მოქმედებს ფასების დონეზე. გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა კი დროს საჭიროებს, რომ აისახოს ფასების დონეზე“, – ამბობს მკვლევარი. კეშელავა ინფლაციის ზრდის ძირითად ფაქტორებზე საუბრობს და განსაკუთრებულ ყურადღებას ნავთობპროდუქტებზე ამახვილებს. **„საწვავის ფასები ყველაზე მაღალი კონტრიბუციით გამოირჩეოდა. 2%-ზე იყო მისი წვლილი მთლიან ინფლაციაში. ეს, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასის მნიშვნელოვან ზრდასთან, რაც, თავის მხრივ, იმას უკავშირდება, რომ გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ნავთობზე ფასები ძალიან დაეცა. როდესაც საწვავის ამჟამინდელი ფასების დონეს ვადარებთ წინა წლის ფასების დონეს, ვნახავთ, რომ აქ საკმაოდ მაღალი ზრდაა.**

გარდა ამისა, საერთო დონეში 1%-ზე მაღალი წილით გამოირჩეოდა კომუნალური ხარჯები. ეს მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინფლაციაში და პირდაპირ უკავშირდება კომუნალური გადასახადების გაძვირებას. მკვეთრად არის გაზრდილი საკვების ფასებიც. ძალიან ბევრი სახეობის პროდუქტი იმპორტირებულია და, რა თქმა უნდა, საქართველოში არსებულ ფასებზე საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ვითარება მნიშვნელოვნად აისახება.

რომ შევაჯამოთ, მსოფლიოში ფასების მნიშვნელოვანი ზრდა და ჯერ კიდევ დაუსრულებელი პანდემია, ინფლაციის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორებია. ასევე წარსულში გაცვლითი კურსის გაუფასურება, რომელსაც გარკვეული პერიოდის შემდეგ აქვს ხოლმე ასახვა ფასებზე. ახლა გამყარებას რომ ვხედავთ, ეს ფასებზე მყისიერად არ აისახება“, – განაცხადა „ბიზნესპარტნიორთან“ კეშელავამ.

სტატისტიკოსი **გივი მომცელიძე** კი ფიქრობს, რომ ინფლაცია აძლიერებს ნეგატიურ მოლოდინს და არასტაბილურობის განცდას. ფასები თავბრუდამხვევი სისწრაფით მატულობს და არასახარბიელო ტენდენციის შეჩერება შეუძლებელია.

„ფასებს უკვე ვერაფერი აჩერებს, პირიქით, ვრცელდება ინფორმაცია, რომ რიგი პროდუქტებისა კიდევ უფრო გაძვირდება! ამ დროს ლარის კურსი დაბლა ჩამოვიდა, მაგრამ ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობა მაინც არ არის. უკვე ცხადია, რომ მთელი წელი მაღალი ინფლაცია გვექნება. გადამწყვეტი იქნება, თუ როგორ ჩაერევა პროცესებში ეროვნული ბანკი, რომელიც ინფლაციაზე პასუხისმგებელია, მაგრამ ვშიშობ, რომ იგი სიტუაციის მართვას ვეღარ შეძლებს. ვხედავთ, რომ გამოწვევებს ვერ უმკლავდება და ამ უწყების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. მათი სუსტი მუშაობის გამო მივიღეთ ის, რომ ახლა ყველაზე მძიმე პერიოდია მოსახლეობისთვის, მაღალი ინფლაციის პირობებში ცხოვრება ხალხს ძალიან უჭირს“, – განაცხადა მომცელიძემ.

სხვათა შორის, მაისში სურსათზე მსოფლიო ფასებმა ყველაზე სწრაფი თვიური ტემპით, 4,8%-ით მოიმატა, რაც 10-წელზე მეტია, არ მომხდარა. სურსათზე ყველაზე მაღალი გლობალური ფასები 2011 წლის სექტემბერში დაფიქსირდა. მონაცემები გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის სააგენტომ გაავრცელა. სააგენტოს სასურსათო ინდექსი მაისში, საშუალოდ, 127,1 პუნქტს შეადგენდა, რაც აპრილის 121,3 პუნქტზე მაღალია. 2008-11 წლებში ფასების მსგავსმა მატებამ 30-ზე მეტ ქვეყანაში სასურსათო ბუნტი გამოიწვია. სააგენტო „ბლუმბერგის“ შეფასებით, მაღალი ფასები ინფლაციის გავრცელებას დაჩქარებს და ცენტრალური ბანკების დამატებით სტიმულირებას გაართულებს.

ბექა დანელია

მესტიას ბუნებრივი აირი და საკანალიზაციო სისტემა სჭირდება!

საქართველოს ბუნებრივი ბრილიანტი – ეს მესტიაა, ადგილი, სადაც წელიწადის ყველა დრო გამორჩეულად ლამაზია. ადგილი, სადაც დრო ჩერდება და ცდილობ თითოეული წამი შეიგრძნო, რომელსაც ქართული კულტურის საცავში ატარებ.

დაბა წლებთან ერთად საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ და პერსპექტიულ ტურისტულ მიმართულებად ჩამოყალიბდა. ყველაფერი კი 2010 წელს დაიწყო, როდესაც ინფრასტრუქტურა განახლდა – მოწესრიგდა შიდა გზები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა საცხოვრებელ სახლებს, გამოიცვალა აივნები და განათდა კოშკები, მოეწყო ოლიმპიური სათხილამურო ტრასები, მაშინ მესტიის აეროპორტმა პირველი თვითმფრინავიც მიიღო. **„კომერსანტი“ მოგიყვებათ, რა შეიცვალა 11 წლის განმავლობაში და როგორ განვითარდა ქვეყნის უნიკალური მხარე.**

მესტიამდე მისასვლელი გზა, ელექტროენერგიის მიწოდება, ბუნებრივი აირისა და საკანალიზაციო სისტემის არარსებობა, გასართობი ადგილების ნაკლებობა – ეს იმ პრობლემების ჩამონათვალია, რომელიც დაბაში წლებია ვერ მოგვარდა. სასტუმრო „გისტოლას“ გენერალური მენეჯერი, მაია მურაჩაშვილი დეტალურად გვიყვება დღეს მესტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ, იმ გამოწვევებზე, რომელთან გამკლავებასაც კერძო სექტორი დამოუკიდებლად, ადგილობრივი მთავრობის გარეშე ცდილობს. ამბობს, რომ მესტიაში კოშკების მხოლოდ ნაწილია განათებული.მისი თქმით, ის დიდი, მასიური განათება, რომლის სილამაზეც ყველა ტურისტს აღაფრთოვანებდა, აღარ არსებობს.

„დღემდე მესტიას არ აქვს გაზი. იმის გამო, რომ ბუნებრივი აირი არ მოგვეწოდება, საკმაოდ დიდი პრობლემები იქმნება. სვანეთში რთული კლიმატური პირობებია, ამ დრომდე ოთახებში გათბობა გვაქვს ჩართული, შესაბამისად, ეს ყველაფერი ელექტროენერგიაზე ან სხვა ალტერნატიულ საშუალებაზე გადადის, რომელსაც საწვავი სჭირდება, რაც ძალინ ძვირია. გაცილებით სავალალოა მდგომარეობა ელექტროენერგიასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ძალიან ხშირია ავარიული გათიშვები, დღეში რამდენჯერმეც კი. ეს დიდ პრობლემას იწვევს – გაყინული პროდუქცია, რომელიც მაცივარში გვაქვს, ფუჭდება, სტუმრები უშუქობით უკმაყოფილოები არიან. ამის გამო კი იძულებულები გავხდით ალტერნატიული საშუალება შეგვეძინა, რაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ზოგჯერ დენი ცენტრალურ გზაზეც კი ქრება. მესტიაში ამოსასვლელი, რამდენიმე ადგილი ისევ გაფუჭებულია, თუმცა სპეც – ტექნიკა ყოველთვის მობილიზებულია და ამ კუთხით შეფერხებები დიდად არ არის. რაიმე დამატებით, რომელიც მესტიას ახალ ხიბლს შესძენდა, გაკეთებული არ არის. ძირითადად კერძო სექტორი მუშაობს.

იმისთვის, რომ გამართული სერვისი გქონდეს, ძალიან დიდი თანხის ინვესტირება უნდა მოახდინო. გამართულად მუშაობა ოთახის თვითღირებულებას იმდენად გიძვირებს, რომ იძულებული ხარ ნომრის ფასი, გაზარდო, მომატებული ფასი, ცხადია, პანდემიურ პერიოდში რთული გადასახდელია. იმის გამო, რომ გასართობი ადგილების ნაკლებობაა, ჩვენს კომპლექსში არის ბავშვთა გასართობი ცენტრი, ლაუნჯი და ღამის კლუბი. როგორც კი რეგულაციები მოიხსნება ობიექტებს გავხსნით. პირველები ვიქნებით, ვინც ტურისტებს მესტიაში ღამის გართობას შესთავაზებს“, – გვიყვება მაია მურაჩაშვილი.

საუკუნოვანმა კოშკებმა 11 წლის წინ ახალი სახე შეიძინეს, წლების წინ განახლებული მესტია საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ტურისტული მიმართულებაა, მაგრამ იქ არსებული პრობლემები დიდ დისკომფორტს უქმნის როგორც ჩასულ ტურისტებს, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასაც. თუმცა, თავისი უნიკალური ლანდშაფტის გამო დაბა მიმზიდველობას არ კარგავს.

ბაჩო ადამია

№ 123-124. ორშაბათი-სამშაბათი, 7-8 ივნისი, 2021 წელი.



„საქართველო - მცირე იმპერია!..“

2013 წელს (ჟურნალი „ლოგოსი“) აკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმაც განაცხადა, რომ სრული აბსურდი და საქართველოს ისტორიის უცოდინრობაზე იყო დამყარებული აკადემიკოს ანდრეი სახაროვის მიერ დაუფიქრებლად გამოთქმული კვალიფიკაცია, თითქოს საქართველო „მცირე იმპერიაა“ .

„ობიექტურობის ხარისხი“ - ზვიად გამსახურდიას ღია წერილი ანდრეი სახაროვს

როგორ უპასუხეს საქართველოდან

ანდრეი სახაროვის ამ ინტერვიუს დაახლოებით ისეთივე ეფექტი ჰქონდა საქართველოში, როგორიც რუსი მწერლის, ვიქტორ ასტაფიევის მოთხრობას „ციმორების ჭერა საქართველოში“.

ანდრეი სახაროვს რუსულ ენაზე ვრცელი ღია წერილით („Степень обьективности“) მიმართა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც ოპონენტს ისტორიისა და საქართველოს საკითხის ცოდნა დაუწუნა. საქართველოს არც აფხაზეთი დაუპყრია და არც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია. შესაბამისად, საქართველოს მცირე იმპერიად გამოცხადება, ზვიად გამსახურდიას აზრით, ან უვიცობის, ან გამიზნული პოლიტიკური განზრახულების შედეგია.

ზვიად გამსახურდია ასევე შეეხო ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების სტატუსის მოკავშირე რესპუბლიკების სტატუსთან გათანაბრების იდეას, რომლის ინიციატორი ანდრეი სახაროვი იყო:

„არ გეჩვენებათ, რომ თქვენ, კაცი, რომელმაც მთელი ცხოვრება მიუძღვენით სტალინიზმის მხილებას, მისი მოკავშირის როლში გამოდიხართ, როცა ცდილობთ დაკანონდეს სტალინისეული დანაშაულებრივი ნაციონალური პოლიტიკა. უმრავლესობა ავტონომიური წარმონაქმნებისა ხომ საბჭოთა კავშირის ხალხების წინააღმდეგ გატარებული დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგია. ისინი შექმნეს იმპერიული პრინციპით „ დაყავი და იბატონე“ ეროვნებათშორისი მტრობის გასაღვივებლად“.

ანდრეი სახაროვის ფრაზა „საქართველო — მცირე იმპერიაა“ მალევე აიტაცეს როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლმა ძალებმა მოსკოვში, ასევე სეპარატისტულად განწყობილმა მოძრაობებმა.

2013 წელს (ჟურნალი „ლოგოსი“) აკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმაც განაცხადა, რომ სრული აბსურდი და საქართველოს ისტორიის უცოდინრობაზე იყო დამყარებული აკადემიკოს ანდრეი სახაროვის მიერ დაუფიქრებლად გამოთქმული კვალიფიკაცია, თითქოს საქართველო „მცირე იმპერიაა“ .

„სამწუხაროდ, ეს აზრი დღემდე მუსირებს ანგაჟირებულ რუსულ მასმედიაში. არამცთუ დღევანდელი ან შუა საუკუნეების საქართველო, არამედ დავით აღმაშენებლის მიერ XII საუკუნის დასაწყისში შექმნილი ერთიანი კავკასიური სახელმწიფო „ნიკოფსიით დარუბანდამდე“ არ ყოფილა იმპერია. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა შუა საუკუნეების ისტორიაში, როდესაც ერთ სახელმწიფოში კეთილმეზობლურად და მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ქრისტიანული, მაჰმადიანური და წარმართი ხალხები და ტომები. დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილმა ერთიანმა კავკასიურმა სახელმწიფომ სამ საუკუნეზე მეტხანს იარსება ისე, რომ არც ერთი აჯანყება, ეთნიკური შუღლი ან კონფლიქტი რელიგიურ ნიადაგზე არ მომხდარა“.

შეცდომა თუ წამოცდენა?

ვახტანგ ძაბირაძე დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ „საქართველო — მცირე იმპერია“ არ ყოფილა სახაროვის წამოცდენა და რომ საბჭოთა კავშირიდან გასვლისთვის მებრძოლი საქართველოს ამგვარი დეფინიცია სრულად შეესაბამებოდა რუსი საბჭოთა დისიდენტების უმრავლესობის მსოფლმხედველობას:

„პერმის ბანაკში ყოფნის დროს, როცა რუს დისიდენტებთან ვსაუბრობდი, აღმოვაჩინე, რომ ისინი საბჭოთა კავშირს განიხილავდნენ როგორც ერთიან ქვეყანას. მათ აწუხებდათ ადამიანის უფლებები, დემოკრატია, კანონის უზენაესობა, მაგრამ არა საბჭოთა კავშირის დაშლა. სოლჟენიცინი, რომელიც გულაგიდან იცნობდა განსხვავებულად მოაზროვნე ბალტიისპირელებსა და უკრაინელებს, ლაპარაკობდა ამაზე, სახაროვი — არა. საბჭოთა კავშირის დაშლის შესაძლებლობაზე საუბრის დროს რუს დისიდენტებს ვუთხარი, რომ ამ ჭრილში ჩვენთვის სახაროვი და გორბაჩოვი ერთი და იგივეა-მეთქი. ძალიან ეწყინათ, მაგრამ ეს ასე იყო. ამას რისთვის ვყვები? სახაროვის ეს ფრაზა არ ყოფილა მოულოდნელი. შეცდომით კი არ წამოსცდა, ასე ფიქრობდა. სსრკ-ს ერთიან ქვეყნად განიხილავდა. ამიტომ მისდამი ორგვარი დამოკიდებულება მაქვს: ერთი, რომ სახაროვს აქვს უზარმაზარი წვლილი შეტანილი დისიდენტურ მოძრაობაში, რომ მისმა ჩართვამ გამოიწვია დასავლეთის სრული მობილიზაცია და მხარდაჭერა ანტისაბჭოთა მოძრაობებისადმი საბჭოთა კავშირში... და მეორე, რომ სახაროვი არ იყო საბჭოთა კავშირის დაშლის მომხრე, რომ ერთ ქვეყნად მოიაზრებდა მთელ საბჭოთა კავშირს“.

დავით ბერძენიშვილის თქმითაც, მიუხედავად მასშტაბისა და უზარმაზარი დამსახურებისა, ანდრეი სახაროვი ცდებოდა მაშინაც, როცა საბჭოთა კავშირის მომავალზე მსჯელობდა, და მაშინაც, როცა საქართველოს მცირე იმპერიას უწოდებდა.

გურამ პეტრიაშვილი, „უსიამოვნო ღია წერილის“ ავტორი

„საბჭოთა კავშირიდან ამერიკის შეერთებული შტატების რუსული ვერსიის გაკეთება დააპირა და თქვა, განახლებულ საბჭოთა კავშირში 50 სუბიექტი უნდა იყოს ყველა თანაბარი სტატუსითო, ანუ აკეთებდა შტატებს, რომლის სუბიექტებად სახავდა როგორც მოკავშირე, ასევე ავტონომიურ რესპუბლიკებს, ოლქებს და „ოკრუგებსაც“ კი... გასაგებია, რომ ეს ძალიან ხელოვნური და გაუგებარი იყო. აშშ სულ სხვა პრინციპებით, სხვა ისტორიულ გარემოში შექმნილი სახელმწიფოა და მისი შედარება იმპერიაში იძულებით შეყვანილ სახელმწიფოებრიობის ტრადიციის მქონე ხალხებთან არ შეიძლებოდა. აშკარა იყო, რომ იმპერიიდან დემოკრატიული ფედერაციული შტატების გაკეთება არ გამოვიდოდა“, — უთხრა „რადიო თავისუფლებას“ დავით ბერძენიშვილმა, რომლის თქმითაც, ასევე შეცდომა იყო საქართველოს „მცირე იმპერიად“ გამოცხადება.

9 აპრილი და სახაროვი

„ოგონიოკის“ იმ ცნობილ ინტერვიუში, საუბრის ბოლოს, ჟურნალისტი 9 აპრილის მოვლენების გამოსაძიებლად შექმნილი კომისიის შესახებაც ეკითხება სახაროვს, უფრო ზუსტად, ეკითხება, თუ რატომ თქვა უარი კომისიის წევრობაზე.

„რთული, არაერთგვაროვანი ურთიერთობა მქონდა საქართველოს არაფორმალური მოძრაობის ლიდერებთან, რაც კომისიის მუშაობის პროცესში რთულ მდგომარეობაში ჩამაგდებდა“, — ასეთი იყო ანდრეი სახაროვის პასუხი, რომელმაც ასევე დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მაშინდელ საქართველოში.

„ცხრა აპრილის ამბების გამომკვლევ კომისიაში შესვლაზე უარი მხოლოდ ჩვენი არაფორმალური მოძრაობის ლიდერებთან დამოკიდებულების გამო არ გითქვამთ. საქმე ისაა, რომ „სლოჟნიე, ნეოდნაზნაჩნიე ოტნოშენია“ თქვენ უკვე მთელ საქართველოსთან გაქვთ და, პირველ რიგში, 9 აპრილს დაღუპულთა სახელებთან... თქვენ იცით, რომ ისინი მტრები იყვნენ თქვენი იმპერიისა და მტრები არიან სხვებიც, ვინც ცოცხალი გადარჩა“, — ვკითხულობთ გურამ პეტრიაშვილის „უსიამოვნო ღია წერილში“, რომლის ადრესატი აკადემიკოსი ანდრეი სახაროვია.

ქართველ არაფორმალებთან (ძირითადად ზვიად გამსახურდიასთან) მართლა „რთული, არაერთგვაროვნი ურთიერთობა“ ჰქონდა, თუმცა, როგორც ვახტანგ ძაბირაძე ამბობს, ეს არ იყო კომისიის მუშაობაში მონაწილეობაზე უარის თქმის მთავარი მიზეზი.

„9 აპრილის სისასტიკესაც გულწრფელად გმობდა, ოღონდ გმობდა როგორც დემოკრატიის წინააღმდეგ ძალის უკანონო გამოყენებას, რაც, ცხადია, არ ნიშნავდა იმას, რომ აქციის მონაწილეთა მოთხოვნებს იზიარებდა. როცა სახაროვი 9 აპრილის ტრაგედიას უწოდებს დანაშაულსა და ტრაგედიას, ის მართალია თავის თავთან, რადგან მიაჩნია ეს ქვეყანაში დატრიალებულ უბედურებად და არა საქართველოს დასჯად... ქართველ დისიდენტებთან ურთიერთობა ფორმალური მიზეზია, მას ერჩივნა გასცლოდა ამ საკითხს“.

ამგვარი დამოკიდებულის მიუხედავად, დავით ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ 9 აპრილთან დაკავშირებით ანდრეი სახაროვს საყვედური არ ეთქმის:

„კომისიის შექმნამდე სახაროვი ძალიან მკაფიო და ძალიან მკვეთრად დაუპირისპირდა საბჭოთა ხელისუფლებას, დაიცვა საქართველო და ქართველი ხალხი. ამ თვალსაზრისით სახაროვს არათუ საყვედური არ ეთქმის, არამედ პირიქით, რადგან სწორედ სახაროვი იყო 9 აპრილის პროცესების მსოფლიოში გატანის ავანგარდში“.

თუმცა საქართველოში ანდრეი სახაროვის იმიჯს დიდწილად მაინც ის ერთი, დამაზიანებელი და არაზუსტი ფრაზა — „საქართველო — მცირე იმპერიაა“ — განსაზღვრავს.

ანდრეი სახაროვი ვერ მოესწრო საბჭოთა კავშირის დაშლას (გარდაიცვალა 1989 წლის 14 დეკემბერს), რისი მომხრეც ის არასოდეს ყოფილა, თუმცა უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში იმდენად შეიცვალა მისდამი დამოკიდებულება რუსეთში, რომ ამ „ცოდვასაც“ კი მას ჰკიდებენ.

ჯიმშერ რეხვიაშვილი,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 121-122

პოლიტოლოგმა არტიომ შრაიბმანმა ბელარუსი დატოვა

მას შემდეგ, რაც NEXTA-ს ყოფილმა რედაქტორმა, რომან პროტასევიჩმა ბელარუსის სახელმწიფო ტელევიზიასთან საუბრისას პოლიტოლოგი არტიომ შრაიბმანი ახსენა, ამ უკანასკნელმა ქვეყანა დატოვა.

პოლიტოლოგის თქმით, ინტერვიუში მისი სახელის ხსენების შემდეგ, „თვალთვალის მსგავსი რამ“ შენიშნა. მისივე განცხადებით, აცნობეს, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის დაწყება იგეგმება.

„რომანმა ამ პროცესებში ჩემი მონაწილეობა გადაჭარბებულად შეაფასა. დიახ, 2020 წლის შემოდგომამდე გაწევრიანებული ვიყავი ჩათში, რომელიც, თავდაპირველად, ბლოგერების რიგითი ე.წ. ინტერნეტშეკრება იყო, მაგრამ მიმდინარე პროტესტის ფონზე, ეს დისკუსიების მთავარ თემად იქცა“, — ამბობს პოლიტოლოგი. შრაიბმანის თქმით, თავისი სახელისა და გვარის ინტერვიუში მოსმენა მისთვის „არასასიამოვნო რისკის ზონაში გადასვლაა“. მედიის ინფორმაციით, პოლიტოლოგი უკრაინაშია გაქცეული.

3 მაისს ბელარუსის სახელმწიფო ტელეარხმა OHT-მ ეთერში გაუშვა ინტერვიუ, სადაც ოპოზიციური NEXTA-ს ყოფილი მთავარი რედაქტორი არეულობის ორგანიზებას „აღიარებს“. მისივე განცხადებით, საიდუმლო ჩათში შეიკრიბნენ ადამიანები, რომლებიც, სავარაუდოდ, კოორდინაციას უწევდნენ საპროტესტო აქციებს ქვეყანაში.ჩატის მონაწილეებს შორის კი, შრაიბმანიც დაასახელა.

№ 123-124. ორშაბათი-სამშაბათი, 7-8 ივნისი, 2021 წელი.

ღირსი ალექსი სენაკელი (შუშანია)

რამდენიმე დღე მთავარანგელოზთა კუნძულზე

„თავარანგელოზთ ოხვამე“ – მთავარანგელოზთა სალოცავი. სამეგრელო, სენაკი, მენჯი. ამ ადგილს მთავარანგელოზთა კუნძულს უწოდებენ. საიდუმლოებით მოცული გარემო... შემაღლებულ გორაკზე, წმინდა ალექსი გერის მიერ აშენებული ტაძრის ირგვლივ, იდუმალებით სავსე სამყაროში, არც ვიცი, გვეჩვენება თუ მართლა არსებობს გაჩერებული დროის დინამიკა...

აქ იმდენ წმინდა რელიკვიას, გერის ხელნაწერებს თუ მემორიალურ ხსოვნას მიეახლები, რომ შესაძლებელია პასუხსაც მიაგნო ყველაზე მნიშვნელოვან კითხვაზე: როგორ ვირწმუნოთ უზენაესი ძალის...

„ღვთისმეტყველების ისტორიამ იცის ორი გზა ღმერთის შეცნობისა: რაციონალისტური და მისტიკური. პირველი წარმოიშვა საღვთისმეტყველო ფილოსოფიურ სკოლებში, ხოლო მეორე – უდაბნო – მონასტრებში, ასკეტებს შორის. სქოლასტიკოსები რაციონალური გზით ცდილობდნენ განესაზღვრათ ღმერთი, ხოლო მისტიკოსები უარყოფდნენ გონების ძალას უზენაესის შეცნობისთვის და განცდით, შინაგანი ინტუიციით უახლოვდებოდნენ ღმერთს. ალექსი გერი ორივეს იყენებს. იგი არ კმაყოფილდება უბრალო, გულუბრყვილო რწმენით და საღვთისმეტყველო საკითხების გარკვევისთვის რაციონალურ გზასაც მიმართავს.“ – წერს **ღირსი ალექსი სენაკელის (შუშანია)** უპირველესი ბიოგრაფი, მისი ახლო ნათესავი, იმ დროის გამოჩენილი, განსწავლული პიროვნება **ონოფრე შუშანია.** პარალელისთვის ნეტარი ავგუსტინეს სიტყვათა შეთანხმებასაც იშველიებს – **„სულით გონიერი ადამიანი,“** რომელიც შორდება ნივთიერ სამყაროს და უზენაესს უახლოვდება.

და მაინც, წმინდა გერის განმარტებით, როგორ შეიძლება ავხსნათ რაობა ღმერთის?

„ვამბობთ, ღმერთი სიყვარულია, მაგრამ ამით არათუ გუნებასასა მისსა ვიტყვით და სისრულეს მისსა წარმოვაჩენთ, არამედ ეს მხოლოდ სახელწოდებაა მისი ერთი თვისებისა, თორემ სიყვარული უზეშთაესია... გონება ჩვენი და სიტყვანი ჩვენი უძლურ არიან თქმად, თუ რა არის ღმერთი, რომლისთვის იხელოვნა გონებამან ჩვენმან ძიების შემდგომ საკვირველებით დანთქმულმან და უწოდა – **მიუწვდომელი. ეს არის ნამდვილი და მართალი სახელი ღვთისა,** ხოლო კაცობრივი ენით რაც ითქმება ღვთისათვის, იგი ოდენ მისი ჩვენდამი ნაჩვენები თვისების ძალაა“.

ისტორიიდან: „მთავარანგელოზთა კუნძულად“ სახელდებული ეს სავანე ოდესღაც ძველი გერების სამოსახლო ყოფილა. მერე დანგრეულა და იმ გერებთან ერთად დავიწყებას მისცემია წარსული. ეს ადგილებიც გავერანებულა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან აქაურობა სრულიად ახალ მნიშვნელობას იძენს ისე, რომ მთავარმა მოქმედმა გმირმაც არ იცის, რა შეიძლება მოხდეს...

1852 წელს, სოფელ ნოქალაქევში დაბადებული ალექსი ლევანის ძე შუშანია, მამის სიკვდილის შემდეგ, ქალაქ კონსტანტინოპოლში მიემგზავრება. ის მაშინ 16 წლისაა და უცხო ქალაქში ჩასული, იქ მცხოვრებ ბიძასთან, **ისლამ შუშანიასთან** ჩერდება.

ბიძა თუმცა ვაჭრობას მისდევს, სახლში დიდი ბიბლიოთეკა აქვს. მათ შორის, რელიგიური წიგნები.

16 წლის ბიჭისთვის სწორედ ეს გარემო და ეს ტექსტები ბედისწერული აღმოჩნდა, მომავლის განმსაზღვრელი. ცნობილია, როცა მოსწავლე მზად არის, მოძღვარი მოდის. ახალგაზრდა ბიჭისთვის ერთგვარი მოძღვარი წიგნები აღმოჩნდა, ბიძის კარადაში სამომავლოდ შენახული.

მომავლის პრაქტიკული გეგმების გარეშე ალექსი შუშანია სამშობლოში დაბრუნდა. ეს იყო უარის თქმა ვაჭრის შეძლებულ მდგომარეობაზე, ბიძასთან ერთად მიღწეულ მატერიალურ წარმატებებზე...

სამეგრელოში, როგორც უბრალო მწირი, სოფლიდან სოფელში ფეხშიშველი დადიოდა. ეხმარებოდა გაჭირვებულებს, გვერდიდან არ შორდებოდა, ემსახურებოდა გადამდები დაავადებებით შეპყრობილ ადამიანებს...

საღვთო ცოდნის დაუოკებელ სიყვარულს მიჰყავდა ის გელათის და მარტვილის მონასტრებში, რომელთა წიგნთსაცავებში ეცნობოდა ძველ ხელნაწერებს, საღვთისმეტყველო ლიტერატურას....

მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში ქართველმა გერებმა საბერძნეთისკენ, ათონისკენ დაიწყეს გამგზავრება. მათ იბერიის ძველ მონასტერში დამკვიდრება სურდათ. მღვდელმონაზონმა ბენედიქტე ბარკალაიამ ალექსიც მიიწვია ათონზე და იქ ძველი ხელნაწერების გადაწერა დაავალა, ვინაიდან მას ძალიან კარგი კალიგრაფია ჰქონდა. ამ სამუშაოს დასრულების შემდგომ ალექსი შუშანია ისევ სამშობლოში გრუნდება. 1888 წლიდან მღვდელმონაზენადაა ხელდასხმული და სხვადასხვა მონასტერში მოღვაწეობს.

„ღირსმა ალექსი სენაკელმა (შუშანია), თითქმის ჩვენმა თანამედროვემ(1852-1933), ურთულეს დროში, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში, რწმენის საყოველთაო ნელთბილობის ჟამს, ძველი ქართული მონაზვნობის საუკეთესო ტრადიციების შენარჩუნება შესძლო.“ – წერს მიტროპოლიტი შიო მუჯირი, სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის მღვდელთმთავარი, თეოლოგიის დოქტორი, ვისი სამეცნიერო კვლევებიც ძირითადად ქართული ეკლესია-მონასტრების დოკუმენტურ ისტორიასა და სასულიერო პირთა პიროვნულ ბიოგრაფიებსა და საარქივო მასალებზე არის დაფუძნებული.

საგულისხმოა წმინდა ალექსი გერის დამოკიდებულება ემპირიული ფასეულობებისადმი.

მას არასოდეს არც საერო და არც საეკლესიო ხელისუფალთაგან დახმარება ან თანადგომა არ უთხოვია. არ მიუღია არავითარი სამსახურებრივი საეკლესიო ჯილდო ან ხარისხი. სამკერდე სამღვდელო ჯვარსაც არ ატარებდა. უარყოფითად ახასიათებდა ეკლესიის იმ მსახურთ, რომლებიც ამ კუთხით სისუსტეს იჩენდნენ. მისი აზრით, ჯილდოები არამარტო სასულიერო პირებისთვის, არამედ საეროსთვისაც „ფრიად დაბალი მხედველობის“ მახასიათებელია. ცნობილია, რომ სამღვდელო ხარისხებსა და ჯილდოებზე ასეთივე შეხედულების გახლდათ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე).

კუნძულზე

მთავარანგელოზთა კუნძულზე ღირსი ალექსი სენაკელის (შუშანია) სახლ-მუზეუმია გახსნილი. საეკლესიო ბიბლიოთეკაში გამოფენილი ხელნაწერების გარდა, მუზეუმის ფონდებში დაცულია სრულიად უნიკალური მემკვიდრეობა – წმინდა გერის პირადი არქივი. ეს გახლავთ მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ლექსები, ქადაგებები, წერილები, ფოტოები და რამდენიმე მემორიალური ნივთი.

დრომ აჩვენა, რომ ღირსი ალექსი სენაკელის ტექსტები კომპეტენტური კვლევის საგანია და თავისი შინაარსით ყველა ეპოქის სულიერ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. მუდმივი ინტერესის საგანია მისი მიმოწერა საერო თუ საეკლესიო პირებთან,ასევე წერილებიც, რომლებიც იმდროინდელ პრესაში იბეჭდებოდა... საგულისხმოა თვით თემატიკაც: „ღვთის ნაპერწკალი ადამიანის სულში“, „მარადიულობა ქრისტიანული იდეალისა“, „ცოდვის სახეობა“, „სწავლა მონაზონთათვის“, „ბრძოლა საკუთარ თავთან“, „სასუფევლისთვის“, „თავისუფლებისთვის“ და სხვა მრავალი...

მთავარანგელოზთა კუნძულის ამჟამინდელ მესვეურთა უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ამ უნიკალური არქივის სათანადო მოვლა, კლასიფიკაცია, არაერთი გამოცემა და ტირაჟირება.

რედაქტორ- გამომცემელია **არქიმანდრიტი მელქისედეკი,** მთავარანგელოზთა ეკლესიის წინამძღვარი, რომელიც უკვე 43 წელია ამ სავანეში მოღვაწეობს, ჰყავს დიდი და ერთგული მრევლი, უყვართ და აფასებენ, როგორც საქართველოში გერული ცხოვრების ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებელს.

ჩვენი უშუალო მასპინძლები, ამ სავანის მკვიდრნი, წმინდა გერის ნათესავები – აქაურობის მემატიანე, უკვე ლეგენდად ქვეული **მორჩილი ზოია (შუშანია) და** აქ დამკვიდრებული ღირებულებების თავდადებული და უანგარო მცველი, ძალიან კომუნიკაბელური **ირაკლი შუშანია**, ყოველდღიურად ერთგული ახლობლებით გარშემორტყმულნი, გვიჩვენებდნენ და გვიამბობდნენ არამარტო გარდასულ ისტორიას, არამედ ცოცხალ წარსულს,რაც ქმედით ხსოვნას გამოხატავს და რაც ძველი დღეების და ადამიანების თანაზიარად გვხდიდა.

ჩვენმა მასპინძლებმა გვიჩვენეს ამ სავანის ოდინდელ მკვიდრთა, სამეგრელოში დღესაც დიდ ავტორიტეტად მიჩნეული იღუმენია ფავსტოს და სქემმონაზონის აკეფსიმა შუშანიების ცხოვრების დეტალების ამსახველი, მრავალმხრივ საგულისხმო ხელნაწერები და ფოტოები.

ეს სტრიქონები წმინდა გერის ლექსებიდანაა, რომელიც ასკეტურად, ძალიან მცირე ზომის კელიაში, მძიმე ჯვარმოკიდებული, განდეგილად ცხოვრობდა...

სწორედ ამ მძიმე ჯვრით ზურგზე (რომელიც მუდამ გოლგოთისკენ მიმავალ მაცხოვარს აგონებდა), გზად დახვდა მარტვილისკენ მიმავალ ეგზარხოს ალექსის. ცნობილია, რომ რუსი ეგზარხოსი ალექსი, ივანე ვოსტორგოვთან ერთად, სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვას ცდილობდა. გერმა მას რუსულ ენაზე შედგენილი, დიდი ცოდნით და დიპლომატიით შედგენილი, საპროტესტო წერილი აახლა...

* * *

ეს ყველაფერი ტრადიციისამებრ, გაიხსენეს იმ 1 მაისს, წმინდა თამარობის დღესასწაულზე...

იმ დღეს არქიმანდრიტ მელქისედექს 76 წელი შეუსრულდა. ტაძარში,ადგილობრივი მრევლის წინაშე, რომელთა შორის საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსული საერო და საეკლესიო პირებიც იდგნენ, მოძღვარმა სიყვარულის ყოვლისმომცველ ძალაზე ისაუბრა: სიყვარული არისო სიმდიდრე და ამ სიმდიდრით წარვდგებითო უფლის წინაშე...

მერე ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ივანე გომართელის

იღუმენია ფავსტო და მონაზონი აკეფსიმა

მას მერე, რაც წმინდა გერი აღესრულა, ეს მონასტერი ორი მონაზონი დის, ფავსტოს და აკეფსიმას ამარა დარჩა. მათ გადაიტანეს საშინელი ტერორი, დევნა, შევიწროება 1924 – 1937 წლებში... ბოლშევიკები მთელ ამ გარემოს დაეპატრონნენ, სიწმინდეების განადგურება სცადეს. მონაზონი დები საკუთარი ხელებით აშენებულ პატარა ფიცრულში ცხოვრობდნენ. ამავე დროს ყოველდღე ეახლებოდნენ ტაძარს, ზუსტად ასრულებდნენ საღვთო ლიტურგიას, ყოველი ღამის სამ საათზე ზარს რეკავდნენ, ლოცულობდნენ... ეს ზარი ნუგეშსაც ნიშნავდა და რწმენას იმისას, რომ ღმერთი არასდროს დატოვებდა მთავარანგელოზთა კუნძულს...

ჩვენ მათდამი თაყვანისცემა გამოვხატეთ დები შუშანიების და წმინდა ალექსი გერის საფლავებზე, სადაც მუდამ სანთლები, ჩაუქრობელი კანდელი და ყვავილები ეწყო.

* * *

არსებობს აზრი, რომ რელიგია ეროვნულ საკითხებზე მნიშვნელოვანი და ცალკე არსებული, მასზე მაღლა მდგომი კატეგორიაა. ღირსი ალექსი სენაკელისთვის სამშობლოს სამსახური საღვთო მოწოდება იყო.

„გვიანღა გიცან, სამშობლოვ, ჩემ ორთავ თვალის სინათლევ,
ვალი რომ მადევს მე შენი, ვგოდებ, ვერ გიხდი, ვერ გაძლევ“...

ან

„იყოს ისეთი რამ საშუალება, რომ მოვიხარო ზვარაკად ქედი,
ჩემი პირადი თავის შეწირვით ამაღლდებოდეს სამშობლოს ბედი“...

და ღირსი ალექსი სენაკელის (შუშანია) მიწერ-მოწერაზე ისაუბრა, ფრაგმენტებიც წაიკითხა წერილებიდან.

წმინდა გერი მრავალ საკითხზე ესაუბრება ექიმს... მათ შორის, დღეს ჩვენთვის აქტუალურ თემაზე:

„საყოველთაო სენიანობის (პანდემიის ნ. ხ.) დროს ადამიანის სულიერ განწყობილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. უცილობელი ფაქტია, რომ ზოგჯერ მოერევა, დაძლევს ბაცილების მავნე გავლენას... აიღეთ კურთხეული ხელობა – ექიმობა. განა ცოტა ბაცილები დაიმორჩილა იმან და მომავალშიც კიდევ რამდენს მოველით... ყველა ამას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ადამიანის სულიერ და ხორციელ სიმტკიცეზეა დამოკიდებული მისი სიძლიერე. დროთა განმავლობაში, როცა ადამიანი გონებრივ- ზნეობრივად და სულიერად შესუსტდა, სასიცოცხლო ძალებიც შესუსტდა მისი... ყველა ამის მიზეზი გუნებრივი და მაღალი კანონით დაწერილი, სასწორ- შეზომილი ცხოვრების დარღვევაა.“

მთავარანგელოზთა კუნძულის სიმაღლიდან წმინდა ალექსი გერი ადამიანთა ბევრ სატკივარს ეხმაურება.

მადლობელი ვარ ბედის, რომ სამეგრელოს ამ საოცარი კუთხის მონახულებასთან ერთად, ღირსი ალექსი სენაკელის სულისშემძვრელ, ღრმა აზრებით და სულიერებით დატვირთულ ტექსტებს გავეცანი.

ეს მართლაც, გადმოსახედია „დიდი სიმაღლიდან“...

ნინო ხოფერია,
სენაკი-თბილისი

მორჩილი ზოია (შუშანია), არქიმანდრიტი მელქის ედეკი, სიძველეთა მკვლევარი პაატა ქურდოვანიძე.

ᲑᲔᲜᲘᲐᲛᲘᲜᲝ ᲯᲘᲚᲘ - „ᲔᲜᲠᲘᲙᲝ ᲙᲐᲠᲣᲖᲝᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔ“

XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ: „ᲐᲕᲔᲛᲐᲠᲘᲐ“, „ᲓᲔᲓᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ“, „ᲐᲠ ᲓᲐᲛᲘᲕᲘᲬᲧᲝ“, „ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲔᲜ ᲔᲠᲗᲡ“, „ᲒᲣᲚᲒᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ“ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲚᲘᲠᲘᲣᲚᲘ ᲢᲔᲜᲝᲠᲘᲡ ᲑᲔᲜᲘᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲯᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ. ᲡᲐᲑᲭᲝᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡ ᲨᲣᲥᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲦᲘᲠᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲓᲐ.

უნდა ვაღიარო, რომ პირველი შთაბეჭდილება განსაკუთრებული არ ყოფილა. ჯილის სიმღერა გამოირჩეოდა მდორე, ნარნარი, უემოციო შესრულებით, რომელიც მხოლოდ ლეგატოზე იყო დამყარებული და ერთფეროვნად მოჩანდა. მე საოპერო მომღერალში მხიბლავდა ხმის მოცულობა, მისი ხარისხი, შინაგანი ემოცია, ექსპრესია და დრამატიზმი.

სწორედ ეს დამაკლდა ჯილის შესრულებაში, თუმცა ხმის ტემბრი უდაოდ ლამაზი ჰქონდა. განსაკუთრებით შთამბეჭდავად ჟღერდა მაღალი ნოტები. მის ხმაში შერწყმული იყო მომაჯადოებელი სირბილე, არაჩვეულებრივი სისუფთავე (იტალიელი კრიტიკოსის როდოლფო ჩელეტის თქმით: „მოჭიქული“ ნაზი, ნათელი, სხივოსანი და შთამბეჭდავად გამჭოლი ხმა). აშკარად იგრძნობოდა, რომ საქმე გვქონდა ფილიგრანული სასიმღერო კლასისა და მანერის „ბელ კანტოს“ წარმომადგენელთან.

ჯილი 1890 წლის 20 მარტს იტალიის მაჩერატას პროვინციის ქალაქ რეკანატში, ტაძრის მნათეს — დომინიკო ჯილის და სკოლის პედაგოგის ქალიშვილის, ესტერის ოჯახში დაიბადა. მას ჯერ კიდევ სულ პატარას, აღმოაჩნდა ხმა და უკვე 7 წლისა, საეკლესიო გუნდში მამამისთან იწყებს სიმღერას. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ჯერ კიდევ პატარა ბავშვი, პარალელურად ქვის მთლელთა სპეციალურ კომპანიაში მუშაობს. 10 წლის ასაკში მკერავის მოწაფეა, ხოლო ორი წლის შემდეგ აფთიაქარის დამხმარე, სადაც 1907 წლამდე მუშაობდა. თავისუფალ დროს ჯილი საქსოფონზე უკრავდა საქალაქო ორკესტრში.

15 წლის ასაკში იგი პირველად გამოდის სცენაზე გონას როლში ქალაქ მაჩერატის თეატრ „ლაურო როსიში“, ალესანდრო ბილის ოპერეტაში „ანჟელიკას გაქცევა“.

1907 წელს ჩადის რომში და ქალბატონ სპანოკისთან დგება მოსამსახურედ.ძმის, კატერვოს დახმარებით ბენიამინო სიმღერის პირველ გაკვეთილებს იღებს პიეტრო დი სტეფანისთან, ხოლო ერთი წლის შემდეგ მეცადინეობს ანეზე ბონუჩისთან... ამას მოჰყვა სამხედრო სამსახური 82—ე ფეხოსანთა პოლკში, შემდეგ კი ტელეფონისტად მუშაობა სამხედრო მეთაურთა სამსახურში. თუმცა, სასიმღერო მონაცემები მას აიძულებს, ამ საქმეზე სერიოზულად იფიქროს.

21 წლის ჯილი ხმის დასაყენებლად ინტენსიურ მეცადინეობას იწყებს პროფესორ მარტინისთან. ამის გამო ანეზე ბონუჩი სასამართლოში უჩივის და განაჩენის საფუძველზე ყოფილი პედაგოგისთვის მას 2500 ლირის გადახდა უწევს. ბენიამინო სწავლასთან ერთად მუშაობას აგრძელებს იტალიის კულტურის სამინისტროსთან არსებულ ფოტოარქივში. სწორედ ამ პერიოდში გაიცნო მან ცნობილი მაკლერის ქალიშვილი კონსტანცა ჩერინი.

1912 წელს, როგორც გამონაკლისი, რომის სანტა ჩეჩილიას აკადემიაში ჯილის სტიპენდიას უნიშნავენ. სწავლის პარალელურად იგი კერძო კონცერტებში მონაწილეობს მინო როზას ფსევდონიმით. 2 წლის შემდეგ იგი აკადემიას ამთავრებს და პარმაში 32 კონკურსანტ ტენორს შორის პირველ ადგილს იკავებს, ამავე წლის 15 ოქტომბერს ქალაქ როვიგოს თეატრ „სოჩიალეში“ მღერის ენცოს პარტიას პონკიელის ოპერა „ჯოკონდაში“. გენუის „კარლო ფელიჩეს“ თეატრში ცნობილ როზინა სტორკიოსთან ერთად სეზონს ხსნის მასნეს ოპერით „მანონი“, სადაც დე გრიეს მთავარ პარტიას ასრულებს.

1915 წელს, როგორც უკვე შემდგარი მომღერალი, პალერმოს „მასომოს“ თეატრი ჯილისთან კონტრაქტს აფორმებს, პუჩინის ოპერა „ტოსკაში“ კავარადოსის როლის შესასრულებლად. ამავე წელს იგი კონსტანცა ჩერინზე ქორწინდება. სულ მალე მომღერალი ნეაპოლის თეატრ „სან კარლოში“ მასკანის „სოფლის პატიოსნებაში“ ტურიდუს პარტიაში გამოდის.

1916 წელს ბენიამინოს პირველი ქალიშვილი ესტერი (რინა) შეეძინა. ამ დროსვე შედგა მისი დებიუტი რომის „კოსტანცას“ თეატრში ფაუსტის როლში ბოიტოს ოპერა „მეფისტოფელში“. უკვე ერთი წლის შემდეგ, მომღერლის საზღვარგარეთული ტურნე იწყება, წარმატებით გამოდის მადრიდში, ბარსელონასა და ბუენოს-აირესში. 1918 წელს არტურო ტიკანინის მუსიკალური ხელმძღვანელობით მისი დებიუტი შედგა მილანის „ლა სკალას“ სცენაზე ოპერა „მეფისტოფელში“.

მიუხედავად ლამაზი და სასიამოვნო ხმისა, ჯილის გარეგნობა მაინც და მაინც ხელს არ უწყობდა. სამსახიობო მონაცემებიც საგრძნობლად ჩამორჩებოდა ვოკალურს. იგი თავისი გარეგნობის გამო ჯაკომო პუჩინმაც დაიწუნა რუჯეროს როლისათვის თავის ოპერა „მერცხალში“. მის ნაცვლად კომპოზიტორმა ტიტო სკაპამ ამღერა... „მეტად ჩამრგვალებული გახლდით რომანტიკული შეყვარებულის განსახიერებისათვის... მე მსახიობად არ ვიყავი დაბადებული. ჩემი კარიერის დასაწყისში, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, ვცდილობდი ცოტათი მაინც მეთამაშა, მაგრამ ყოველთვის შეცდომებს ვუშვებდი. კრიტიკოსები სიტლანქისთვის მკიცხავდნენ, სცენაზე მართლაც ტლანქად გამოვიყურებოდი. ეს პრობლემა ყოველთვის იდგა ჩემ წინაშე და საშინლად მტანჯავდა“ — აღნიშნავს ჯილი. ხელოვნური გრიმის დახმარებითაც კი, სცენაზე ტენორი ვერ თავისუფლდებოდა ნაცნობი ერთფეროვნებისა და სქემატურობისაგან. მისი მიმიკაც რაღაც პირობითი და ნაკლებგამომხატველი მოჩანდა, თუმცა ჯილის სიმღერის მშვენიერება იმდენად ძლიერი იყო, რომ პირველი ფრაზებიდანვე იპყრობდა მსმენელს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მის მიერ შესრულებული ნეაპოლიტანური სიმღერები.

ერთხელ, ნეაპოლში გასტროლების დროს, ქუჩაში მიმავალმა ჯილიმ, ორი ნეაპოლელის საუბარს მოჰკრა შემთხვევით ყური:

— ამბობენ, რომ ის ახალი ტენორი ჯილი ცუდად არ უნდა მღეროდეს.

— მერე რა, რომ ცუდად არ მღერის! სულ ერთია, ჩვენი დონ ენრიკოს ფეხსაცმლის ლანჩადაც არ ღირს!

ასე დაიბადა შედარება, რომელიც მრავალი წლის შემდეგ ნიუ-იორკში ყოფნის დროს, სულ თან სდევდა სტანჯავდა მომღერალს, რაც ჯილის თავისებურ სიამოვნებას ანიჭებდა და ეამაყებოდა, რადგან მას „ოქროსხმიან ჯადოქარს“, „ოქროს ყელს“ ადარებდნენ. „მე კარუზოს ვერასოდეს შევედრები, თუმცა სიმღერას მაინც თავს არ დავანებებ“, — ამბობდა იგი.

1920-იან წლებში, სამხრეთ ამერიკაში გასტროლების შემდეგ, ლეგენდარული ენრიკო კარუზოს სცენიდან წასვლიდან რამოდენიმე კვირით ადრე, „მეტროპოლიტენ—ოპერაში“ შედგა ბენიამინოს დებიუტი ბოიტოს ოპერა „მეფისტოფელში“. ამას მოჰყვა რუდოლფი და კავარადოსი „ბოჰემასა“ და „ტოსკაში“, ტურიდუ „სოფლის პატიოსნებაში“, ავიტო „სამი მეფის სიყვარულში“, ადრე შენიე ამავე სახელწოდების ოპერაში. 1921 წელს, კარუზოს გარდაცვალების შემდეგ „მეტროპოლიტენ-ოპერის“ სეზონს 12 წლის მანძილზე უკვე ჯილი ხსნიდა, რითაც ჩამოყალიბდა მის „კარუზო! ეს სახელი უკვე მაღიზიანებდა, მიუხედავად მისდამი ჩემი ღრმა პატივისცემისა. კრიტიკოსებს, ბოლოს და ბოლოს, მინდოდა, ხელი აეღოთ გადაჭარბებული, ხატოვანი, თუმცა სასიამოვნო შედარებებისგან. კარუზოს ჩრდილში მოქცევის არავითარი სურვილი არ მქონდა და არც მის მეტოქედ ან მიმდევრად გახდომა მიფიქრია. მსურდა, საკუთარი მე შემენარჩუნებინა და ხალხსაც ისეთი მივეღე, როგორც სინამდვილეში ვიყავი და არა ის მეტიჩარა, რომელიც კარუზოს სახელს ეპოტინება. კარუზოს მემკვიდრედ ვინმეს დასახელება, მკრეხელობად მიმაჩნია. ეს, ნიშნავს ამ ადამიანის ხსოვნის შებღალვას, ვისაც თაყვანს სცემს მთელი იტალია და მსოფლიო...“ — წერს თავის წიგნში ბენიამინო ჯილი.

თანდათან იგი ნიუ-იორკელების ყურადღებას იპყრობს და მათი საყვარელი მომღერალი ხდება. ამის დასადასტურებლად მას ქალაქის პოლიციის საპატიო ოფიცრის წოდებაც კი მიანიჭეს. გამოდის ამერიკის ქალაქებში, სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში. ხშირად ჩადის იტალიაში და მღერის როგორც საოპერო თეატრებში, ასევე საკონცერტო ესტრადაზე. 1924 წელს მღერის ბერლინის სახელმწიფო ოპერის თეატრში, ხოლო რადიოს მეშვეობით ამერიკის მოსახლეობისთვის გამართულ საშობაო კონცერტზე ცოცხალი შესრულებით გამოდის. ჩადის ჰავანაში და კუბის პრეზიდენტის ქალიშვილის ქორწილზე მღერის. 1929 წელს პირველად გამოდის ვენის ოპერის თეატრში და იტალიაში „არენა დი ვერონაზე“.

1932 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში „დიდი კრიზისის“ დროს, თეატრის დახმარების მიზნით, „მეტროპოლიტენ-ოპერის“ ხელმძღვანელობის მიერ, ხელფასის 25%-ით შემცირების შეთავაზებაზე ჯილი კატეგორიულ უარს აცხადებს და თეატრთან კონტრაქტს აუქმებს, რომლის მთლიანი წლიური თანხა 300 ათას დოლარს შეადგენდა. XX საუკუნის დასაწყისში, ანალოგიური მდგომარეობის დროს, გენიალურმა ენრიკო კარუზომ კი პირიქით, უდიდესი დახმარება გაუწია თეატრს და თანხმობა განაცხადა ხელფასის შემცირებაზე. თუმცა, ჯილი სხვანაირად მოიქცა. „ვერ ვიტყვი, რომ ოდესმე გულგრილი ვიყავი ფულისადმი. შესაძლოა, იმიტომ რომ ღატაკად დაბადებული ფულს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი... მაშინ ბევრი კიცხავდა ჩემ საქციელს. კრიტიკოსები მართალნი იყვნენ. მე შეუგნებლად და არაეთიკურად მოვიქეცი. ახლა უნდა ვაღიარო: ჩემი საქციელი ყოველგვარ გამართლებას იყო მოკლებული!“ — აცხადებს ტენორი.

იტალიაში ჩასვლისთანავე ჯილი ხელშეკრულებას აფორმებს მუსოლინის მთავრობასთან, სამთავრობო სპექტაკლებსა თუ კონცერტებში მონაწილეობის ვალდებულებაზე. იმ დროს, როცა ლეგენდარული ბარიტონი — ტიტა რუფო, როგორც ცნობილი ანტიფაშისტი, მუსოლინის სისხლიანი რეჟიმისგან სიკვდილს სრულიად შემთხვევით გადაურჩა. ჯილის კარგი ურთიერთობა ჰქონდა ჰიტლერის მთავრობასთანაც, ხშირად ჩადიოდა გერმანიაში საზეიმო ღონისძიებებში სამღერლად. სწორედ ამ პერიოდში მოხდა მომღერლის კინოფილმებში გადაღებაც.

1936 წელს ბენიამინოს ქალიშვილი რინა, როგორც მომღერალი, რომში საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობს. ამ პერიოდშივე, სცენაზე მოღვაწეობის 25 წელთან დაკავშირებით ჯილი ქალაქ როვიგოში ედგარის პარტიას მღერის დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლამერმურში“. მეტად საინტერესოა, ედგარის ბოლო, მართლაც შესანიშნავი არიის შექმნის ისტორია: მეგობრებთან ბანქოს თამაშის დროს გაეტანო დონიცეტი მაგიდიდან მოულოდნელად წამოვარდნილა, შთაგონებით აღვსილი გვერდით ოთახში გასულა, გონებაში ჩასახული მელოდია ჩაუნიშნავს, უკან დაბრუნებულა და ბანქოს თამაში ისევ გაუგრძელებია.

ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც ფაშისტური რეჟიმისგან განთავისუფლდა ქვეყანა, იტალიელი პატრიოტებისთვის ჯილი მიუღებელ პიროვნებად იქნა მიჩნეული. „შეშფოთებულმა შევიტყვე, რომ თურმე მოღალატე ვყოფილვარ - გერმანელებისთვის ვმღეროდი. ამაში ბრალს მდებენ არა მარტო მოკავშირეები, არამედ იტალიელებიც. გააფთრებულმა ბრბომ რომში ჩემ სახლს ალყა შემოარტყა. რამდენიმე თვე გარეთ გასვლას ვერ ვბედავდი. ერთხელ, ჩემთან რომელიღაც ინგლისელი ოფიცერი მოვიდა, რათა გაერკვია, რაში იყო საქმე. მე მას ვუპასუხე — რასაკვირველია, ვმღერი გერმანელებისთვის, ისე, როგორც ვმღერი ყველასთვის, მათ შორის ინგლისელებისთვის და ამერიკელებისთვის. მე ნებისმიერი ხელისუფლების შემთხვევაში ვიმღერებდი. არ მესმის, რა შუაშია აქ ღალატი? ოფიცერმა ჩაიცინა და წავიდა“, — წერს ჯილი. ეს ინციდენტიც ამით ამოიწურა.

1946 წელს 56 წლის ტენორმა რომის ოპერაში პოლიონის პარტია იმღერა ბელინის „ნორმაში“. ამავე დროს ლონდონელი მაყურებელი მას „ბოჰემაში“ უსმენს, სადაც მიმის პარტიას მომღერლის ქალიშვილი რინა ასრულებდა.

ინგლისში ჯილის კონცერტის შემდეგ „მანჩესტერ გარდიანი“ ასე წერდა: „მომღერალმა თავისი ნაზი, მუსიკალური ფრაზებით „ალბერტ-ჰოლი“კამერული მუსიკის სალონად აქცია. მისი ხმა წყნარი, მთვარიანი ღამისთვისაა შექმნილი“.

1951 წელს მომღერლის გასტროლები მოეწყო სამხრეთ ამერიკაში, კანადაში, სამხრეთ აფრიკაში, ახალ ზელანდიაში, იაპონიასა და სკანდინავიის ქვეყნებში. მისი ბოლო საოპერო გამოსვლა შედგა რეკანატში 1954 წელს ლეონკოვალოს „ჯამბაზებში“ კანიოს როლში. ამის შემდეგ გამოსათხოვარ კონცერტებს მართავს მსოფლიოს მასშტაბით. გარდაიცვალა 1957 წელს რომში.

ერთობ მრავალფეროვანია მომღერლის რეპერტუარი — 60 ოპერა, კანტატა და ორატორია. სცენაზე 41 წელი მღეროდა, იგი „ბელ კანტოს“ ტრადიციების ერთგულ დამცველად ითვლება. მომხრე იყო ლამაზი ბგერების, ლამაზი სიმღერის, ფლობდა შთამბეჭდავ ტექნიკას, თავისი „ჰაეროვანი“ და მომფერებელი პიანოთი და მეცა ვოჩეთი. ფორტეს დროს იყო ზუსტი და ერთგვაროვანი.

ᲯᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲧᲐᲠᲐᲓᲐᲐ ᲨᲔᲡᲣᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ.

ᲒᲔᲚᲐ ᲫᲝᲫᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ვოკალისტთა კონკურსების ლაურეატი, ქართული კულტურის ამაგდარი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი, საღნაღის საპატიო მოქალაქე.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მიზანი - გამჭვირვალობა

იოსებ ტყემალაძე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს თეა წულუკიანს შეხვდა. მათ ქართულ რაგბიში მიმდინარე პროცესები განიხილეს. რაგბის კავშირის პრეზიდენტმა თეა წულუკიანს რამდენიმეთვიანი მუშაობის ანგარიში გააცნო და ახლო მომავალში გასატარებელი რეფორმების შესახებ ესაუბრა.

სრკ-ის თავკაცის განცხადებით, მალე რაგბის კავშირის გამგეობა უფრო მეტად გამჭვირვალე წესებით არჩეული წევრებით დაკომპლექტდება. რაგბის კავშირის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მისმა გუნდმა ბოლო ორი თვის განმავლობაში არაერთი ნაბიჯი გადადგა ქართული რაგბის გაჯანსაღებისა და ხელშეწყობისაკენ.

სოსო ტყემალაძე გამოეხმაურა აგრეთვე თეა წულუკიანის ინიციატივას იმასთან დაკავშირებით, რომ სპორტულ ორგანიზაციებში ამოქმედდეს ანტიკორუფციული მექანიზმები, რათა საბიუჯეტო რესურსის ხარჯვა მაქსიმალურად გამჭვირვალე და მიზნობრივი იყოს.

მანვე აღნიშნა, რომ კავშირი დანერგავს აღნიშნულ მექანიზმებს, მათ შორის შესაბამისი დათქმები აისახება ორგანიზაციის დებულებაშიც რაგბის კავშირის მიერ დახარჯული თანხების სათანადო მონიტორინგის მიზნით. მინისტრმა რაგბის კავშირის პრეზიდენტს მიმდინარე სამუშაო პროცესში სრული მხარდაჭერა აღუთქვა და ქართული რაგბის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები ერთ თვეში სამხრეთ აფრიკას ესტუმრება და მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებთან 2 და 9 ივლისს ორ ტესტ-მატჩს გამართავს. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ აფრიკის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ პირველ შეხვედრას სწორედ „ბორჯღალოსნებთან“ ჩაატარებს, რაც ქართული რაგბის კიდევ ერთი დიდი აღიარება და წარმატება გახლავთ.

◎ ხუთი რგოლი

მაჩვენე, რა გაცვია და...

მართალია, ტოკიოს ოლიმპიადის გამართვა იაპონიის მოსახლეობისა და სამედიცინო წრეების პროტესტის გამო, რაც კოვიდპანდემიითაა გამოწვეული, ჯერაც სათუოა, მაგრამ მომავალი ფორუმისთვის მისი მონაწილეები მაინც გეგმის მიხედვით ემზადებიან და, ვიმედოვნებთ, თამაშების ჩატარების საკითხი საბოლოოდ დადებითად გადაწყდება.

საილუსტრაციოდ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის მორიგი სხდომის დასაწყისი გამოდგება, რომელსაც სეოკ-ის თავკაცი **ლერი ხაბელოვი** უძღვებოდა, მის წევრებს, მიწვეულ სტუმრებსა და ჟურნალისტებს კი „ჯვაროსანთა“ დელეგაციის სააღლუმე და სპორტული სამოსი წარუდგინეს, რომელიც ჩვენი და ამომავალი მზის ქვეყნის შტრიხების ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს. დავძენთ, რომ ორიგინალური ესკიზები ცნობილმა მხატვარ-დიზაინერმა **სიმონ მაჩაბელმა** შექმნა.

◎ წყალბურთი

ასე იყო, ასე არის...

ვამბობთ თბილისის „დინამოს“, ვგულისხმობთ ქართულ წყალბურთს.

გამონაკლისს არც წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატი წარმოადგენდა, რომლის გამარჯვებულიც ქულათა მაქსიმუმით ვადამდე სწორედ ქვეყნის ნაკრების საბაზო კლუბი გახდა.

ძნელი სათქმელია, უახლოეს მომავალში ვინ დაამხობს დეიან სტანოიევიჩის შეგირდთა ჰეგემონიას, რადგან ტურნირის დანარჩენ მონაწილეთა უმთავრესი ამოცანა მხოლოდ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაა.

მათ შორის უპირატესობა „თბილისს“ უნდა მიენიჭოს, სადაც რამდენიმე „ჯვაროსანი“ თამაშობს, თუმცა, მრისხანე მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა ვერც ამ გუნდმა გაუწია – 8:18 პირველ და 13:18 მეორე წრეში.

„დინამო“ – 2021: რაზმაძე, ქავთარაძე, დვალი, თეთრაძე, ბითაძე, ელაჩა, ადეიშვილი, სარიჩი, რურუა, ახვლედიანი, ვასიჩი, ვაპენსკი, გვეტაძე.

* * *

ამასობაში ბელგრადის აუზში ჩემპიონთა ლიგის დასკვნითი რაუნდი გათამაშდა, რომელმაც პანდემიის გამო საკმაოდ დაღდასმული სეზონის ყველაზე პრესტიჟული ევროპული საკლუბო ტურნირის ტრიუმფატორი გამოავლინა.

გაუწყებთ გადამწყვეტი სატიტულო შეხვედრების შედეგებს.

ნახევარფინალი: „პრო რეკო“ (იტალია) – „ბარსელონეტა“ (ესპანეთი) 12:10, **„ფერენცვაროში“** (უნგრეთი) – „ბრეშია“ (იტალია) 14:12.

ფინალი. „პრო რეკო“ – „ფერენცვაროში“ 9:6 (პირველი ტაიმი – 5:5).

◎ გამოიცა

ფრიდონის სადარი...

დღეს მკითხველის სამსჯავროზე გამოგვაქვს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების სტატისტიკის მესამე წიგნი – „ჯვაროსნები“, რომელიც 1990-2000 წლებში გამართული შეხვედრების მონაცემებითაა გამდიდრებული და, ვიმედოვნებთ, საკმაოდ შეზღუდული – 1000-ეგზემპლარიანი ტირაჟის მიუხედავად, ჩვენი გუნდის გულშემატკივართა გზამკვლევად იქცევა ისევე, როგორც პირველი და მეორე გამოცემები.



შპს „საარის“ პოლიგრაფიულ ცენტრში უმაღლეს ტექნიკურ დონეზე დაბეჭდილი აღნიშნული კრებულის დაკაბადონება და დიზაინი **ირმა ჯიშკარიანს** ეკუთვნის, ხოლო ილუსტრაციების ავტორი დიდოსტატი ფოტოხელოვანი **ბადრი კეთილაძე** გახლავთ, რაც უკვე ნიშნავს იმას, რომ ქომაგს სამაგიდო ნამუშაკევით ტკბობა ელის.

ეს, ასე ვთქვათ, შესავლის მაგიერ, ტკბილი ლუკმა კი, ტრადიციისამებრ, ბოლოსთვის მოვიტოვეთ, მით უმეტეს, როცა ისეთ შემდგენელსა და რედაქტორზე ვსაუბრობთ, როგორიცაა ჩვენი ძვირფასი კოლეგა და მეგობარი **ფრიდონ კერვალიშვილი.**

სპორტის მოყვარულები კარგად იცნობენ ამ „მსუყე“ თანამოკალმის ნაღვაწს, შარავანდედად პროფესიონალიზმი რომ ადგას, მაგრამ, ხომ იცით, მოწოდებად ქცეული მორიგი კეთილი საქმის შეფასება კიდევ უფრო მოითხოვს აწონილ სიტყვას, შემოქმედს სტიმული რომ არ მოაკლდეს და ახალ-ახალი ძარღვიანი სტრიქონებით გაგვახაროს.

რამდენად გავართვით თავი დასახელებულ მისიას, მომავალში გამოჩნდება, ჩვენი რეცენზია კი გვსურს რუდუნებით აკინძული ნაფიქრალის სარჩევის მოშველიებით დავასრულოთ, რაც, ვიმედოვნებთ, ნათელ წარმოდგენას შეგიქმნით, რაოდენ ტიტანური შრომაა ჩადებული თითოეული ქვეთავის შექმნაში: **იღბლიანები და უიღბლოები, დოსიე, ყველა მატჩის ოქმი, ფეხბურთელები ანბანური თანმიმდევრობით ჩატარებული თამაშების და გატანილი გოლების რაოდენობის კლების მიხედვით, კაპიტნები, მეკარეები, მწვრთნელები, მეტოქეები, გუნდის მატჩები წლების შესაბამისად...**

დაგვეთანხმებით, შემოთავაზებული საჩუქარი ერთი ამოსუნთქვით გადასანსვლას ექვემდებარება...

◎ ლეგიონერი

ზემოთ და ზემოთ...

„ტენერიფე“ ლიგა ენდესას ნახევარფინალშია, მისი ქართველი ლიდერი, „მოვისტარის“ MVP გიორგი შერმადინი კი კვლავაც შეუდარებელია.



კუნძულელებმა უპრობლემოდ გადალახეს პლეი-ოფის სერია „ბურგოსთან“ – 2:0 და „ჯვაროსნის“ პირადი მონაგარი ორივე შეხვედრაში ღირსეული გახლდათ: შინ 86:78 მოგებულ შეხვედრაში – 16 ქულა და სტუმრად დამაჯერებელ გამარჯვებაში – 92:68 – 11 ქულა.

რაც შეეხება მეტოქის ნატურალიზებულ გამთამაშებელ **თად მაკფადენს,** შესაძლებლობებზე უარესად ითამაშა და პირველი ბრძოლა უქულოდ დაასრულა, ხოლო საპასუხოში მხოლოდ 10 ქულა იკმარა.

ნახევარფინალში „ტენერიფე“ „ბარსელონასა“ და „ხუვენტუდს“ შორის უფრო ძლიერს შეხვდება. დამატებითი მესამე მატჩის წინ მათ წყვილში ჯერჯერობით ანგარიშია 1:1.

* * *

ამასობაში ევროლიგაში ხელმოცარულმა ცსკა-მ წარმატებით დაიწყო ვითიბი ლიგის ფინალური სერია და ყაზანში „უნიქსთან“ 85:77 მოგებით დაწინაურდა კიდეც – 1:0.

არმიელთა ქართველმა ლეგიონერმა **თორნიკე შენგელიამ** 23 წუთში 14 ქულა, 2 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. მის პარტნიორთაგან საუკეთესო ვილ კლაიბერნმა 19 ქულას 8 მოხსნა და 4 პასი მიუმატა. ეს გუნდები დღეს ისევ თათრეთში ითამაშებენ.

◎ სტუდენტური ლიგა

სრულყოფის მიზნით

ქართული კალათბურთის მასაზრდოებელი წყარო– სტუდენტური ლიგა მესამე სეზონს 8 უმაღლესი სასწავლებლის გუნდის მონაწილეობით იღებს.

მისი ინიციატორები არიან საუნივერსიტეტო სპორტისა და კალათბურთის ფედერაციები, ხოლო პროექტის მხარდამჭერი – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

ორწრიანი ტურნირი პლეი-ოფით გაგრძელდება, მომავალი ჩემპიონი კი ტიტულთან ერთად პროფესიული „ა“ ლიგის საგზურსა და საბაზისო დაფინანსებას – 70 ათას ლარს მოიპოვებს, რაც მის წევრებს საშუალებას მისცემთ დაოსტატება განაგრძონ და სუპერლიგის საგზურის დაუფლების შემთხვევაში სრულყოფა უფრო მაღალ დონეზე დაიმსახურონ.

რაც შეეხება მინისტრის მოადგილე **სოსო გიორგაძის,** საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტ **ნინო გიგინეიშვილისა** და სკფ-ის თავკაცი **პაატა გურასპაულის** თანდასწრებით გამართულ წილისყრას, მან დასახელებული ოქტეტი ასე „დაახარისხა“:

„ა“ ჯგუფი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველოს სპორტის უნივერსიტეტი.

„ბ“ ჯგუფი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გურამ თავართქილაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიაუნი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ნინოწმინდის პანსიონატიდან ბავშვების გაყვანა გრძელდება

„სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ნინოწმინდის პანსიონატიდან ბავშვების გამოყვანას მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით აგრძელებს. ამასთანავე, 2021 წლის 5 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დროებითი განჩინების აღსრულების პროცესი — ნინოწმინდის პანსიონატიდან შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბავშვების გამოყვანის ნაწილში უკვე დაწყებულია“, — ამის შესახებ ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებაში ვკითხულობთ.

უწყების ცნობით, ამ დროისთვის სააგენტომ, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, კიდევ 5 არასრულწლოვანი ზრუნვის სხვა ფორმაში უკვე გადაიყვანა.

„სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ ნინოწმინდის პანსიონიდან, ჯამში, 11 არასრულწლოვნის გამოყვანა უზრუნველყო, რომელთა შორის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ერთი ბავშვია. ადგილზე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ჯგუფი, როგორც დღის, ასევე ღამის განმავლობაში, აგრძელებს მუშაობას. ამ ეტაპზე, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს არასრულწლოვნებისთვის ზრუნვის სხვა ალტერნატიული ფორმები უკვე მოძიებული აქვს. ეს ეხება ბიოლოგიურ ოჯახში ინტეგრაციას, მცირე საოჯახო ტიპის სახლებსა და მინდობით აღზრდაში განთავსებას. ზემოაღნიშნული მოქმედებები ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებითა და დაცვით ხორციელდება. სახელმწიფოს უმთავრეს პრიორიტეტს ბავშვთა უფლებებისა და მათი საუკეთესო ინტერესის დაცვა წარმოადგენს. ამ პრინციპებზე დაყრდნობით სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო ნინოწმინდის პანსიონში მუშაობას აგრძელებს“, — აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

ამასთან ერთად საქართველოს საპატრიარქო ასაჩივრებს:

„გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნინოწმინდის პანსიონში სახალხო დამცველის შესვლასთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე ჩვენთვის არავის მოუმართავს და იგი მასმედიის საშუალებით გახდა ცნობილი. ამიტომაც მოგვიანებით ჩავერთეთ. ამჟამად ვითარება შეცვლილია. იქ სოცმუშაკები იმყოფებიან და ბენეფიციარებზე სადღეღამისო დაკვირვება ხორციელდება. ბავშვებთან მიმართებაში ეკლესია კვლავაც ითანამშრომლებს სათანადო უწყებებთან და ორგანიზაციებთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების დაცვით.

ამასთან ვაცხადებთ, რომ გავასაჩივრებთ სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც ეხება ნინოწმინდის პანსიონიდან ბენეფიციართა გამოყვანის პროცესს, რადგან სასამართლოზე წარმოდგენილი არ ყოფილა შესაბამისი მტკიცებულებები იქ მყოფ არასრულწლოვნებზე უღირსი მოპყრობის და ძალადობის დამადასტურებელი ფაქტების შესახებ; აგრეთვე, პანსიონის ადმინისტრაციას და პერსონალს არ მისცემია შესაძლებლობა, გამოეხატათ საკუთარი პოზიცია.

აუცილებელია, შესაბამისმა სამსახურებმა დროულად და ობიექტურად მოახდინონ გაჟღერებული ბრალდებების გამოძიება, რათა სამართლიანი შეფასება მიეცეს მოვლენებს.

ვთვლით, რომ პანსიონიდან ბენეფიციარების გაყვანის დაჩქარებული პროცესი არ შეესაბამება ბავშვების საუკეთესო ინტერესს, რადგან არ განხორციელებულა სოციალური მუშაკების მიერ იქ არსებული ამჟამინდელი ვითარების შეფასება და არც სათანადო დასკვნა დადებულა კომპეტენტური სპეციალისტების მიერ. ჩვენი პოზიციით, გადაყვანის დაუსაბუთებელი და ნაჩქარევი პროცესი მხოლოდ დააზარალებს აღსაზრდელებს და წინააღმდეგობაში მოდის მათი უფლებების სათანადო დაცვასთან.

მიგვაჩნია, რომ გათვალისწინებული უნდა იქნას თითოეული ბავშვის უფლება და უზრუნველყოფილი მიუმხრობელი და მათზე ორიენტირებული ინდივიდუალური გეგმის განხორციელება, რათა არ მოხდეს, ერთი მხრივ, არასრულწლოვანთა ტრამვირება და, მეორე მხრივ, მათი გამოყენება ანტიეკლესიური მიზანმიმართული კამპანიისათვის“, — ნათქვამია განცხადებაში.

ისრაელელი სტუმრები ვარკეთილში

საქართველოში სტუმრად მყოფმა ისრაელის შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა იციკ შმულიმ თბილისში გამწვანების აქციაში მიიღო მონაწილეობა. ისრაელელი მინისტრი თბილისს „ისრაელის სახლის“ მოწვევით სტუმრობდა. გამწვანების აქციაში მასთან ერთად მონაწილეობა მიიღო „ისრაელის სახლის“ ხელმძღვანელმა, საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტმა იციკ მოშემ. მათ რაიონის მაჟორიტართან ერთად ელდარის ფიჭვები დარგეს.

ვარკეთილის მესამე მიკრორაიონში გამწვანება რაიონის მაჟორიტარის, თბილისის საკრებულოს წევრის რევაზ სოხაძის ინიციატივით მიმდინარეობს.

„საქართველო-ისრაელის ურთიერთობები ორივე მხარის ინტერესია და არ აქვს მნიშვნელობა, რომელი მთავრობა იქნება ისრაელში. ეს არის ხალხების ურთიერთობა“, — განუცხადა ჟურნალისტებს იციკ შმულიმ. მისივე თქმით, ისრაელისა და საქართველოს ურთიერთობებში დიდი პოტენციალია. უნდა ვიფიქროთ, როგორ შეიძლება უფრო მეტი გავაკეთოთ ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებისთვის. ორივე მხარეს შეუძლია ერთმანეთისგან ბევრი რამ ისწავლოს. ისრაელს შეუძლია მხარი დაუჭიროს და ბევრი გააკეთოს საქართველოსთვის.

მინისტრის თქმით, ცოტა ხნის წინათ მას ჰქონდა მნიშვნელოვანი შეხვედრა ჯანდაცვის სფეროს საკითხებზე, სადაც აღნიშნა, რომ დასახავენ საქართველოსთან თანამშრომლობის გზებს. **„ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს. თქვენ ხართ ჩვენს გულებში“,** — განაცხადა იციკ შმულიმ.

ისრაელელმა მინისტრმა ისაუბრა, აგრეთვე, ამ დღეებში იერუსალიმში წიგნის „სიონიზმი დინების წინააღმდეგ“ პრეზენტაციის შესახებაც. წიგნი „ისრაელის სახლის“ თაოსნობით გამოიცა და დიდ საბჭოთა ალიას, ისრაელსა და მსოფლიო ებრაელობასთან საქართველოს კავშირებსა და ისრაელის საინფორმაციო მხარდაჭერას ეხება. რაიონის მაჟორიტარმა რევაზ სოხაძემ „ისრაელის სახლს“ მხარდაჭერისთვის და ისრაელელ მინისტრს გამწვანების აქციაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა.

ქალი მსჯავრდებულები ფიტნეს ინსტრუქტორის პროფესიას შეისწავლიან

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხარდაჭერით, №5 (ქალთა) დაწესებულებაში პროფესიული მომზადების პროექტი დაიწყო. პროექტის ფარგლებში ქალი მსჯავრდებულები ფიტნეს ინსტრუქტორის პროფესიას დაეუფლებიან.

საგანმანათლებლო პროექტში ჩაერთვებიან ფიტნეს აკადემიის წამყვანი სპეციალისტები. კურსი 6 თვეში დასრულდება და მასში მონაწილე 17 ქალ მსჯავრდებულს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცემა. მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია სპეციალური პენიტენციური სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით არაერთ პროგრამას ახორციელებს. სწორედ აღნიშნული პროგრამის საშუალებით ქალ მსჯავრდებულებს შესაძლებლობა ეძლევათ პროფესიონალ ფიტნეს ინსტრუქტორებად ჩამოყალიბდნენ, რაც სამომავლოდ მათი დასაქმებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობა გახდება.

სამინისტრო ტელედეზინფორმაციას პასუხობს

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ეხმიანება ერთ-ერთი ტელეკომპანიის მიერ გავრცელებულ ცრუ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თითქოს მხატვრების ნამუშევრების საზღვარგარეთ გატანისთვის კულტურის სამინისტრომ ახალი რეგულაცია შემოიღო, რომელიც ნებართვის გაცემაზე 21-დღიან ვადას აწესებს.

„სინამდვილეში, 20 დღე (და არა 21, როგორც ეს სიუჟეტში ითქვა), განსაზღვრულია საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 23 ივნისის №05/63 ბრძანებით, რომლის მეორე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, თანამედროვე კულტურული ფასეულობის გატანაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო გადაწყვეტილებას იღებს განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღის ვადაში. შესაბამისად, გაუგებარია სხვადასხვა პირების აპელირება 20 დღეზე, როგორც ახალ რეგულაციაზე, ვინაიდან როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ნორმა 2015 წლიდან მოქმედებს“, — აღნიშნულია განცხადებაში. ამასთან, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო განმარტავს, რომ ყველა პირი, ვინც შესაბამის დოკუმენტაციას წარმოადგენს, დაუბრკოლებლად იღებს ნამუშევრის ქვეყნიდან გატანის უფლებას.

„ამის ნათელი მაგალითია თუნდაც იმავე სიუჟეტში ნახსენები მხატვრების ნამუშევრების გატანაზე გაცემული ნებართვები. კერძოდ, მხატვარ დავით ბაძაღუას ნამუშევრის ქვეყნიდან გატანის ნებართვის მისაღებად მოქალაქემ სააგენტოს მიმართა მიმდინარე წლის 27 მაისს და ნებართვა მიიღო 1 ივნისს. სიუჟეტში ნახსენები მეორე მხატვრის — დავით პოპიაშვილის ნახატის ქვეყნიდან გატანის ნებართვა მოქალაქემ ითხოვა 1 ივნისს და მიიღო 5 ივნისს. ამდენად, ნამუშევრების ქვეყნიდან გადატანის ნებართვებთან დაკავშირებით სიუჟეტში მოცემული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად“, — აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

დაჯარიმეს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების 52 მაღაზია

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფებმა კახეთის რეგიონში 130 სპეციალიზებული მაღაზია შეამოწმეს, საიდანაც 52 მათგანში ეტიკეტირების წესის დარღვევის, ვადაგასული პრეპარატების განთავსებისა და რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის ფაქტები გამოვლინდა.

სააგენტოს ცნობით, ბიზნესოპერატორები დაჯარიმდნენ და უხარისხო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეალიზაცია აეკრძალათ.

„სურსათის ეროვნული სააგენტო უხარისხო და ფალსიფიცირებული ქიმიკატების ბაზრიდან ამოღების მიზნით, განაგრძობს სარეალიზაციო ობიექტების კონტროლს, მიმდინარე წელს დაგეგმილია 300-მდე ნიმუშის აღება და ლაბორატორიული გამოკვლევა“, — აღნიშნულია სააგენტოს განცხადებაში.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურების განახლება გრძელდება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ **სარწყავი სეზონის პარალელურად სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას აგრძელებს.**

გორის მუნიციპალიტეტში, ნადარბაზევის წყალსაცავიდან მკვებავი სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, ჯამში, დაგეგმილია 18 კილომეტრი სიგრძის წყალგამანაწილებელი არხების აღდგენა, რკინაბეტონის ღარებისა და სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობა.

ჩატარებული სამუშაო სოფლების — ნადარბაზევის, შავშვების, ხურვალეთის, ნიგოზასა და ზემო რენეს 1000 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის სტაბილურად მორწყვას უზრუნველყოფს. სამუშაო გასული წლის სექტემბერში დაიწყო და მიმდინარე წლის შემოდგომაზე დასრულდება. პროექტის ღირებულება 3 287 777 მლნ ლარია.

ქეთევანი კარმენის სამშობლოს იპყრობს

ცნობილი ქართველი მეცო-სოპრანო ქეთევან ქემოკლიძე წარმატებით გამოდის სევილიაში, „კარმენის“ სამშობლოში. 30 წლის შემდეგ, სევილიის მაესტრანცას ოპერის თეატრში ჟორჟ ბიზეს ოპერა „კარმენის“ პრემიერა შედგა. კარმენის პარტია ქართველმა საოპერო მომღერალმა შეასრულა.

ქეთევან ქემოკლიძის, კარმენის როლის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი შემსრულებლის გამოსვლამ, ესპანური პრესის მოწონება დაიმსახურა. მისი ფოტო ცნობილი საოპერო ჟურნალის „ოპერა აქტუალის“ გარეკანზე დაიბეჭდა. მომღერალი მედიამ „კვირის არტისტად“ აღიარა. ქეთევან ქემოკლიძის კარმენი სევილიურმა პუბლიკამ ფლამენკოს რიტმში განსაკუთრებული აპლოდისმენტებით დააჯილდოვა, რაც ფარდის დახურვის შემდეგაც არ შეწყვეტილა.

სევილიაში ბიზეს „კარმენის“ ახალი თანამედროვე დადგმა ესპანელ რეჟისორს, კალიქსო ბიეიტოს ეკუთვნის, რომელიც მსოფლიოს წამყვან თეატრებში დგამს.

მერაბ ნინიძე მეორედ კანის კინოფესტივალზე

ალექსეი გერმანის ფილმი „საქმე“ (შინაპატიმრობა), რომელშიც მსახიობი მერაბ ნინიძე მთავარ როლს ასრულებს, კანის კინოფესტივალზეა წარდგენილი. ცნობილი რეჟისორის, ალექსეი გერმანის შვილის, ასევე ალექსეი გერმანის სრულმეტრაჟიანი დრამა სპეციალურ სექციაში „განსაკუთრებული ხედვა“ დასახელდა.

ფილმის სიუჟეტი რუსეთში მცხოვრები ქართველი მასწავლებლის გარშემო ვითარდება, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას კორუფციაში ამხელს და ამის გამო შინაპატიმრობას მიუსჯიან. მერაბ ნინიძე ფილმში მთავარ გმირს, დავითს განასახიერებს. ალექსეი გერმანის ფილმთან ერთად, სექციაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სულ 18 ფილმი დასახელდა.

წარმატებული ქართველი მსახიობი კანზე 2017 წელსაც გამოჩნდა. უნგრელი რეჟისორის, კორნეი მუნდრუცოს ფილმი „იუპიტერის მთვარე“, რომელშიც მერაბ ნინიძე მთავარ როლს ასრულებს, კანის 70-ე კინოფესტივალის ოფიციალურ პროგრამაში იყო შესული. წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კინომოვლენა წელს 6 ივლისიდან 17 ივლისამდე გაიმართება.

საფრანგეთის საკონცერტო სივრცეები ქართველ ხელოვნებს დაეთმობათ

პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე პარიზის საკონცერტო დარბაზის, „სალ გავოს“ დირექტორებს, ჟან-მარი და შანტალ ფურნიეებს შეხვდა. შეხვედრაზე ქართველი ხელოვანების ხელშეწყობის თაობაზე იმსჯელეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები დასახეს.

„ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის მნიშვნელოვანია სისტემური ღონისძიებების გამართვა. დარბაზის დირექტორებმა მზადყოფნა გამოთქვეს, ხელი შეუწყონ ამ პროცესს და დაუთმონ



საკონცერტო დარბაზების სივრცეები ქართველ ხელოვანებს მომავალ სეზონებზე“, — განაცხადა ელისო ბოლქვაძემ. შეხვედრას საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენელი კულტურის საკითხებში პაატა მაჭავარიანი ესწრებოდა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„ევროპული ხელოვნება“ ქართულ ტროტუარზე

ქართული მოზაიკის და გამოყენებითი დიზაინის მხარდაჭერისა და განვითარების ფონდმა „რიბირაბომ“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შენობის წინ ფერადი მოზაიკის გამოყენებით ფეხით სავალი ნაწილი გააფორმა. ნამუშევარი ქუჩის მხატვრობის ერთ-ერთი თანამედროვე ტექნიკით არის შესრულებული, რომლის სახელწოდებაა „ფლაკინგი“.

„ფლაკინგის“ ტექნიკა ეკუთვნის ლიონში მცხოვრებ ფრანგ ხელოვანს „Ememem“-ს, რომელმაც ქუჩაში ფეხით სავალ ნაწილზე არსებული ხარვეზების დაფარვის უჩვეულო გზას მიმართა და ასფალტის დაზიანებული ადგილები ფერადი მოზაიკის გამოყენებით ამოავსო. აღნიშნული ტექნიკა დღითიდღე უფრო პოპულარული ხდება და მას ევროპის არაერთ ქალაქში იყენებენ, მათ შორის პარიზში, მადრიდში, ბარსელონასა და მილანში.

ქართული მოზაიკის და გამოყენებითი დიზაინის მხარდაჭერისა და განვითარების ფონდი „რიბირაბო“ 2019 წელს შეიქმნა და მისი საქმიანობა ქართული მოზაიკისა და უშუალოდ მასთან დაკავშირებული გამოყენებითი დიზაინის დარგების მხარდაჭერისა და განვითარებისკენაა მიმართული.

„აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“

პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ბექა ოდიშარიამ მონაწილეობა მიიღო ცნობილი მკვლევარისა და მეცნიერის, ნატო მარშანიას წიგნის „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“ წარდგინებაში.

ბექა ოდიშარიამ კომიტეტის სახელით, დაადასტურა მაქსიმალური მზაობა ასეთი პროექტების მხარდასაჭერად, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო დიპლომატიისა და ქართულ-აფხაზური სამშვიდობო დიალოგის წარმოებისთვის.

„აფხაზურ-ქართული ურთიერთობები, ზოგადად, ყველა ჭრილში საინტერესოა. უაღრესად მნიშვნელოვანია აფხაზ პოლიტემიგრანტთა წვლილი, რომელიც მათ 1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და აფხაზეთის, აფხაზთა, საქართველოს სახელმწიფოსა და ზოგადად, ქართული საზოგადოების ჩამოყალიბებაში შეიტანეს“, — აღნიშნა ბექა ოდიშარიამ. ღონისძიება მიეძღვნა, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის, 1919 -1921 წლებში აფხაზეთის ეროვნული მთავრობის პირველი თავმჯდომარის, დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის იუბილეს, რომელსაც 26 ოქტომბერს დაბადებიდან 140 წელი შეუსრულდა.

ბათუმი — იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქი

კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე იუნესკოს გენერალური დირექტორის მოადგილეს კულტურის საკითხებში, ერნესტო ოტონეს შეხვდა.

შეხვედრაზე იუნესკოს მიერ ინიცირებული შემოქმედებითი ქალაქების საკითხის შესახებ იმსჯელეს. პროექტის ფარგლებში საქართველო ქალაქ ბათუმის წარდგენას გეგმავს.

„ვისაუბრეთ, ასევე, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ციკლის თაობაზე, რომელიც 2022 წლისთვის იგეგმება. საქართველო, როგორც იუნესკოს წევრი ქვეყანა, საინტერესო პროგრამით ჩაერთვება ღონისძიებებში , რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის უნიკალურ თვითმყოფად კულტურას“, — განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 9 ივნისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0791; ევრო - 3.7276;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3477;
100 რუბლი - 4.2021; თურქული ლირა - 0.3543;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8137;
1000 სომხური დრამი - 5.9199.

ამინდი 7 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10, დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +6, დღე +25
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +11, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +24
თბილისი: ღამე +14, დღე +27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge